საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 4 თებერვალი, 2014 წელი.

№23 (7404)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეილებით და ჯოხებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვანო სულ გამოვენთერდა!



5 მერაბიშვილის ტვინი სხვას ფიქრობს, ენა სხვას ამბობს...

ნიანგის ცრემლები! 3

6 ქართული ფასადური დიპლომატია

მერაბიშვილმა თავის „პადელნიკად“ ბიწაძე დაასახელა 2

„ამაში უკანონო არაფერი იყო, თუმცა, 2007 წლის აქციის დაშლის ინიციატორი ბადრი ბიწაძე იყო“, — აღნიშნა მერაბიშვილმა.

გზა, რომელსაც ხელისუფლება უთუოდ უნდა დაადგეს 7

კიდევ ერთი გაუთვლელი „საუკუნის პროექტი“ შეჩერებულია 11

სიძულვილ-ცილისწამებით ნუ მოვიწამლებით და ნურც სხვებს მოვწამლავთ! 4

ერთი მიზანმიმართულად სახელგამტეხი კამპანიის გამო

საავტომობილო გზების დეპარტამენტის 5 სტრატეგიამ გაამართლა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მერაბიშვილმა თავის „პადელნიკად“ ბიწაძე დაასახელა

ვანო მერაბიშვილმა ნინო ბურჯანაძეს სასამართლოზე მიცემული ჩვენებისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც მერაბიშვილმა სასამართლო დარბაზში განაცხადა, ბურჯანაძის ჩვენება დაცვის მხარეს ძალიან გამოადგება.

ბრალდებულმა ნინო ბურჯანაძეს მიმართა და 2007 წლის ნოემბრის აქციის დაშლა შეახსენა.

„ამაში უკანონო არაფერი იყო, თუმცა, 2007 წლის აქციის დაშლის ინიციატორი ბადრი ბიწაძე იყო“, — აღნიშნა მერაბიშვილმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე დაიკითხა. პროცესზე 26 მაისს გარდაცვლილი პოლიციელის, ვლადიმერ მანსურაშვილის დედაც იმყოფებრდა. დაკითხვას დაესწრნენ ასევე შოთა უტიაშვილი, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრები.

ბურჯანაძე ბრალდების მხარის მოწმედ ითვლება, რომელმაც დაკითხვაზე 26 მაისის დაშლა სადამსჯელო ღონისძიებად შეაფასა და განაცხადა, რომ ვანო მერაბიშვილის გარდა, აღნიშნულ საქმეში მიხეილ სააკაშვილი და მთავრობის სხვა წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ბრალდებულები. ნინო ბურჯანაძემ დეტალურად გაიხსენა 26 მაისის აქციის დაშლა და აღნიშნა, რომ აქციის მონაწილეების მხრიდან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია და ეს მიტინგის დაშლა არ ყოფილა.

— ჩემი დისკრედიტაცია ყოფილი ხელისუფლებიდან წამოსვლის ფაქტობრივად მეორე დღესვე დაიწყო და გაგრძელდა. ამას წინ უძღოდა აგვისტოს ომის პერიოდი. კერძოდ, მე როდესაც ხელისუფლებიდან წავედი, აგვისტოს თვეში, მიხეილ სააკაშვილმა მთხოვა, დავხმარებოდი და ფაქტობრივად 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდი, ვაგზავნიდი მეილებს საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ვთხოვდი მათ დახმარებას. თუმცა, მე არსად არ ვჩანდი, ჩემი ინტერვიუები არსად არ გადიოდა, დისკრედიტაცია კი დაიწყო მას შემდეგ რაც „როიტერს“ მივეცი ინტერვიუ და ვთქვი, რომ ახლა შეკითხვების დრო არ არის, მაგრამ დადგებოდა კითხვებზე პასუხების გაცემის დრო. სწორედ ამ ინტერვიუს შემდეგ დაიწყო ჩემი დისკრედიტაცია. მიხეილ სააკაშვილმა შეკრიბა ხალხი და მათ უთხრა, რომ ვინც აღნიშნულ კითხვებზე და მათ პასუხებზე ისაუბრებდა, ის გამოეცხადებინათ ქვეყნის მოღალატეებად და რუსეთის აგენტებად, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მან ასევე გაიხსენა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი და განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ ჩვენი ერთი ჯარისკაცი რუსების 50-ს უდრის.

ბურჯანაძემ „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ თუკი ეს ხელისუფლება არ გაასამართლებს, საქართველოში აუცილებლად იქნება ხელისუფლება, რომელიც „აღნიშნულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას გაასამართლებს“.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა ნინო ბურჯანაძეს შეკითხვა დაუსვეს თუ რატომ შეხვდა რუსეთის ხელისუფლებას. აღნიშნულ შეკითხვაზე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ იგი ემზადებოდა არჩევნებისთვის და აინტერესებდა რუსეთის ხელისუფლების განწყობა საქართველოსთან მიმართებაში, რათა ქართული საზოგადოებისთვის ცრუ დაპირება არ მიეცა. ბურჯანაძის თქმით, სწორედ ამ მიზნით შეხვდა რუსეთის ხელისუფლებას, რათა მათი დამოკიდებულება გაეგო საქართველოსთან მიმართებაში.

— ის ჯარი, რომელიც აგერ დგას, ბურჯანაძეს კი არ შემოუყვანია, არამედ სააკაშვილის უტვინობამ შემოიყვანა საქართველოში, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

— მე აბსოლუტურად ობიექტური ინფორმაცია წარმოვადგინე არა მარტო 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, არამედ ვისაუბრე რამდენიმე თემაზე, მათ შორის 2008-2009 წლების მოვლენებთან დაკავშირებითაც. იმედი მაქვს, რომ ჩემს მიერ მოთხრობილი აბსოლუტურად ობიექტური ინფორმაცია დაეხმარება გამოძიებას და სასამართლოს, სამართლიანი განაჩენი იქნას გამოტანილი. ამავდროულად მინდა ვთქვა, დარწმუნებული ვარ იმაში, ყველა დანაშაულზე, რომელზეც დღეს იყო საუბარი, უმთავრესი დამნაშავე არის მიხეილ სააკაშვილი და მე აუცილებლად მომიწევს ამ სასამართლოში მოწმის სახით სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, როდესაც სააკაშვილი იჯდება განსასჯელის სკამზე. ამას თუ ეს ხელისუფლება არ გააკეთებს, გააკეთებს სხვა ხელისუფლება, — განუცხადა ჟურნალისტებს დაკითხვის შემდეგ ბურჯანაძემ.

რაც შეეხება აქციის დროს დაღუპული პოლიციელის თემას, ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს რათა ადამიანების გარდაცვალების რეალური მიზეზები დაადგინოს. ამასთან, ბურჯანაძის თქმით, სპეცრაზმს მისი ლიკვიდაცია ჰქონდა დავალებული.

— დაგეგმილი იყო რომ მსხვერპლი ყოფილიყო და დაღუპულიყო პოლიციელი. ვუსამძიმრებ ყველა დაღუპულის ოჯახს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ სიმართლე დადგინდეს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, აქციაზე, ნამდვილი ტყვიები ესროლეს მანქანას, სადაც მისი შვილი იჯდა, რაზეც რეაგირება ითხოვა. თუმცა, ბურჯანაძის თქმით, ამაზე წინა ხელისუფლების პირობებში პროკურატურას რეაგირება არ მოუხდენია.

ადვოკატი დაინტერესდა, ჩაატარა თუ არა ექსპერტიზა იმ ჩანაწერზე, სადაც ბურჯანაძე მის შვილს გრუ-ს შემოყვანასა და ხელისუფლების დამხობაზე ელაპარაკება. ბურჯანაძემ დაკითხვისას აღნიშნა, რომ ექსპერტიზა არ ჩაუტარებია, თუმცა მისთვის გასაკვირია თუ კი მისი მხრიდან გადატრიალების მცდელობაზე ხელისუფლებას კომპრომატი ჰქონდა, რატომ არ დაიჭირეს.

თუ ეს ჩანაწერი სიმართლეს შეესაბამება და მოლაპარაკება მქონდა გრუსთან, საინტერესოა, მაშინდელმა შს მინისტრმა რატომ არ დამაკავა. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, — განაცხადა ბურჯანაძემ.

ინტერპრესი

◎ ალიან-ჩალიანი

ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 0,8 პროცენტი შეადგინა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ცვლილებამ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე. აღნიშნულ ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,1 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა იანვრის თვის ინფლაციაში 0,63 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ქვეჯგუფზე (13,0 პროცენტი), ფასები ასევე გაიზარდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (4,5 პროცენტი) და რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (4,2 პროცენტი);

მოცემულ პერიოდში ფასების 0,7-პროცენტიანი მატება დაფიქსირდა ტრანსპორტის ჯგუფზე, რაც იანვრის თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,08 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (3,4 პროცენტი), ხოლო ფასების კლება დაფიქსირდა სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტზე (-2,8 პროცენტი).

2014 წლის იანვარში 2013 წლის იანვართან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 2,9 პროცენტი შეადგინა.

სასამართლოში კორუფცია გრძელდება

„თავისუფალი საქართველო“ სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობაზე საუბრობს და მაგალითად კონკრეტულ საქმეს ასახელებს.

როგორც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა თენგიზ ომანიძემ განაცხადა, მოსამართლეები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მუშაობენ, თანამდებობებს ინარჩუნებენ, ამ პირობებში კი სამართლიანობის აღდგენა შეუძლებელია.

— ჩვენი მრავალი თანამოქალაქე, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის„ დროს ქონება დაკარგა, სამართალს დღემდე ეძებს. ერთ-ერთი მათგანია არჩილ სულთანიშვილი, რომელიც წლების წინ მრავალათასიანი ქონების მფლობელი იყო, დღეს კი სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობს და სახელმწიფოსგან შემწეობას იღებს. მისი საქმე განსაკუთრებულია იმით, რომ იკვეთება არა მხოლოდ ქონების უკანონოდ მითვისების, არამედ სახელმწიფოსთვის გადასახადების დაფარვის და ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციის ნიშნებიც. მტკიცებულებები იმდენად აშკარაა, რომ მათი იგნორირება შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ სასამართლომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე საქმის განხილვაზე უარი თქვა, — განაცხადა ომანიძემ.

მისი თქმით, სასამართლოში კორუფციული სქემა ახალი ხელისუფლების პირობებშიც შენარჩუნებულია და არჩილ სულთანიშვილი, სხვა დაზარალებულების მსგავსად, სამართლიანობის აღდგენას უშედეგოდ ცდილობს.

„მოვუწოდებთ „ქართული ოცნების„ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, ვიდრე ტელეკამერების წინ ისაუბრებდნენ სასამართლოს რეფორმის წარმატებაზე, ჯერ ამგვარ საქმეებს გაეცნონ. საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლება წარმოუდგენელია იმ პირობებში, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის„ დროის მოსამართლეები კვლავაც ინარჩუნებენ სტატუსს და უკანონო გადაწყვეტილებებს იღებენ, — აღნიშნა ომანიძემ.

◎ სამეგრელოს მხარე

„ზუგდიდის საკეთილდღეოდ“ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაერთიანება არ ისურვეს!

წლევანდელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, რომელიც ოთხიოდე თვეში უნდა ჩატარდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზუგდიდისთვის, რადგან ზუგდიდი პირველად გახდება თვითმმართველი ქალაქი. ზუგდიდელები კმაყოფილნი არიან იმით, რომ შეიცვალა თვითმმართველობის კანონის თავდაპირველი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ზუგდიდის რაიონი რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილებად, ანუ რამდენიმე მამრავლებად იყოფოდა. შეცვლილი ვარიანტის მიხედვით კი ზუგდიდი იყოფა ორ დიდ ნაწილად ქალაქად და რაიონად, ანუ როგორც იყო კომუნისტების ეპოქაში, როდესაც არსებობდა ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი და ზუგდიდის რაიონული კომიტეტი. ამჟამად ქალაქი ზუგდიდი აირჩევს თავის მერს და საკრებულოს, ხოლო ზუგდიდის რაიონი მასში შემავალი ოცდაათი სოფლით აირჩევს რაიონის გამგებელს და საკრებულოს. ყოველივე ეს თავისთავად გამოიწვევს „სამუშაო ადგილების“ გაზრდას (ბიუჯეტის ხარჯზე, რა თქმა უნდა).

პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, თუ ცალკეული პიროვნებები არჩევნებისთვის ემზადებიან და უკვე ფაცი-ფუცობენ. ამ დღეებში ზუგდიდში არსებულ ორასამდე არასამთავრობო ორგანიზაციას კიდევ ერთი ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „ზუგდიდის გავითარების ცენტრი „მამული“ შეემატა. როგორც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ყოფილმა „აღორძინების კავშირის“ და „განახლებული საქართველოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ალვერ იზორიამ განაცხადა „მამულის“ მთავარი ამოცანა და მიზანია ზუგდიდსა და ზუგდიდელებზე ზრუნვა და მათი კეთილდღეობისათვის ბრძოლა. მისი სურვილი იყო ზუგდიდსა და ზუგდიდელების ინტერესების დაცვის მიზნით გაეერთიანებინა ზუგდიდში მოქმედი ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, ამიტომაც ისინი მან „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ მიიწვია, თუმცა ამ შეხვედრაზე მხოლოდ ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გამოცხადდა. „ჩვენი ორგანიზაციის შექმნა განაპირობა წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა არასწორმა ქმედებებმა. დაანგრიეს სტადიონი ისე, რომ არავისთვის არაფერი არ უკითხავთ და მსგავსი რომ არ გაიმეოროს ახლანდელმა ხელისუფლებამ, გადავწყვიტეთ შეგვექმნა ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, რათა დავდგეთ ერთად და არავის არ მივცეთ ჩვენი უფლებების შელახვის მცდელობა. ამჟამინდელი ხელისუფლება ზუგდიდელებს შეჰპირდა, რომ ააშენებდა სამედიცინო კლინიკას, რომელიც მოემსახურებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობას. დავიწყე ტერიტორიის მოძიება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ კომპლექსის აშენება. თქვენ წარმოიდგინეთ ზუგდიდში ვერ მოვიძიეთ ერთი ჰექტარი თავისუფალი მიწის ნაკვეთი, მაშინ როდესაც, თურმე, კახა ბენდუქიძე ზუგდიდის ცენტრში ფლობს 19 ჰა მიწის ნაკვეთს. აი, ასეთი პრობლემები უნდა მოვაგვაროთ ყველამ ერთად“, — განუცხადა დამსწრეთ ალვერ იზორიამ.

ამ შეხვედრას ზუგდიდისა და აფხაზეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ: „სტადიონი დაშალეს, თეატრი ინგრევა, ქალაქის ცენტრში მდებარე ყოფილი სასტუმრო „ოდიშის“ აივნებზე გასაშრობად გამოფენილი საცვლები ჰკიდია. გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად გამგეობას აქვს „ოკუპირებული“, ამიტომაც მათი მანქანების გარდა სხვა ავტომანქანების დაყენება აკრძალულია და თუ გააჩერებ უმალვე პატრული დაგადგება თავს. აი, ასეთია დღევანდელი ზუგდიდი“, — აღნიშნა ძირძველმა ზუგდიდელმა ვოვა გულუამ.

სასტუმრო „ოდიშში“ რამდენიმე წელია დევნილები ცხოვრობენ და როგორც განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ზუგდიდის წარმომადგენლობის თანამშრომელმა მურმან მალაზონიამ: „არა აქვს მნიშვნელობა თუ ვინ ცხოვრობს ყოფილ სასტუმრო „ოდიშში“ დევნილი თუ ადგილობრივი. ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ იქიდან“.

ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ქვარაიამ არასამთავრობო ორგანიზაციებს მრჩეველთა საბჭოს შექმნის იდეა მიაწოდა: „აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შეიქმნას 9-10-კაციანი მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც ითანამშრომლებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, იმისდა მიუხედავად თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში“, — განაცხადა მერაბ ქვარაიამ.

P.S. „მამულის“ მსგავი რამდენიმე ორგანიზაცია არსებობს ზუგდიდში, მათგან უმთავრესია საზოგადოება „ზუგდიდელი“ (თავმჯდომარე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია), რომლის წარმომადგენლები ამ შეხვედრას არ ესწრებოდნენ. ალვერ იზორიას განმარტებით „მამული“ და „ზუგდიდელი“ არ არიან იდენტური ორგანიზაციები. „ჩვენი ორგანიზაცია „მამული“ უფრო პრაქტიკული ღონისძიებისკენ არის ორიენტირებული, ჩვენ ერთმანეთს ხელს არ შევუშლით, პიქირით ერთმანეთს უნდა შევუწყოთ ხელი. რაც უფრო მეტი ასეთი ორგანიზაცია იქნება, მით უკეთესია. მე თვითონ ვარ საზოგადოება „ზუგდიდელის“ პრეზიდიუმის წევრი. მე ისინი მოვიწვიე დღევანდელ შეხვედრაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოვიდნენ“, — აღნიშნა ალვერ იზორიამ.

ლადო ქირია,
ზუგდიდი.

◎ საქართველოს აღარ სჯერა...

„ისინი დგანან ამ სასამართლოს წინაშე ისე, როგორც მოკლული მეფის გვამის წინ იდგა სისხლით მოსვრილი გლოსტერი. ის მეფის ქვრივს ეკითხებოდა: „თქვი, რომ ისინი მე არ მომიკლავს!“ და დედოფალმა უპასუხა: „მაშინ თქვი, რომ ცოცხლები არიან! მაგრამ ისინი არ სუნთქავენ!“ თუ თქვენ ამბობთ, რომ ეს ადამიანები უდანაშაულონი არიან, იგივეა თქვათ, რომ არ იყო ომი, არ იყვნენ დახოცილები, არ იყო დანაშაული!“

(ნიურნბერგის პროცესზე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მთავარი ბრალმდებლის რობერტ ჯეკსონის საბრალდებო სიტყვა).

დღესაც დგანან სასამართლოს წინაშე გლოსტერივით სისხლში ამოსვრილი დამნაშავეები. დგანან და უტიფრად ამტკიცებენ, რომ არც გვამები ყოფილა და არც უამრავი ადამიანის წამება. არც წაგებული ომი და არც გაუბედურებული ოჯახები. არც ძარცვა და არც კორუფცია.

არ ყოფილა არც „ნულოვანი ტოლერანტობა!“, არც „ყველანი ციხეში!“ და არც ბრძანება ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ.

სამაგიეროდ იყო „ვაშლის უკანონო გათლა“, იყო ორი ნასვამი ახალგაზრდის „თავდასხმა“ პოლიციის ათამდე მაღალჩინოსანზე, რომლებიც თურმე შარდენ ბარში პეტრარკას ლექსებს უკითხავდნენ მინისტრის მეუღლეს. იყვნენ „ავტომატებით შეიარაღებული“ ბავშვები, რომლებიც „საშინელი დანაშაულებების ჩადენას გეგმავდნენ“.

დიახ, ამას ამტკიცებენ. ამტკიცებენ იმიტომ, რომ საქართველოში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი პროკურორი, რომელიც რობერტ ჯეკსონის მსგავსად გამოვა და ნამდვილ ბრალს წაუყენებს დამნაშავეებს.

როდესაც ოსვენციმის ბანაკის მთავარ კომენდანტ რუდოლფ ჰესს ასამართლებდნენ, პროკურორმა დარბაზს მიმართა, აი ამან სამ მილიონ ნახევარი ადამიანი მოსპოო. ჰესმა სიტყვა ითხოვა, მაპატიეთ, მე მხოლოდ ორმილიონ ნახევარი ადამიანი მოვსპეო. როდესაც დარბაზი აღშფოთდა, ჰესს გაუკვირდა, რა უნდათ, არ მესმის. მე ხომ უბრალოდ ციფრები დავაზუსტეო!

ჰესის მიერ გაკვირვებით ნათქვამი ფრაზა ცინიზმი არ არის. ძალიან რბილად რომ ვთქვა, ეს უფრო ფსიქოლოგიური გადახრაა.

დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ანალოგიური ფსიქოლოგიური გადახრა და ესესის ობერშტურმფიურერისგან განსხვავებით, პლუს ცინიზმი აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც უტიფრად აცხადებენ, რომ 2011 წლის 26 მაისის ღამეს აქცია მხოლოდ „დაშალეს“, აღლუმის ჩასატარებლად ტერიტორია გაათავისუფლეს და სამწუხაროდ ძალას ოდნავ გადაამეტეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ანალოგიური ფსიქოლოგიური გადახრა და პლუს ცინიზმი აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიის კოორდინატორების დაფინანსება, ვიღაც მომღერლების და მსახიობების ალპინისტმწმენდავებად და სანაგვე მანქანის მძღოლებად გაფორმება საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო.

დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ანალოგიური ფსიქოლოგიური გადახრა და პლუს ცინიზმი აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც ბიზნესმენებისგან საკუთარი ქონების სახელმწიფოსათვის მასობრივად ჩუქებას, ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ.

დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ანალოგიური ფსიქოლოგიური გადახრა და პლუს ცინიზმი აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც...

ოცნების ხელისუფლებაში მოსვლიდან წელიწადზე მეტი გავიდა და შედეგად გვაქვს:

ნიანგის ცრემლები!

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე — ნაცი.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე — ნაცი.

სახელმწიფო აუდიტის (იგივე კონტროლის პალატა) თავმჯდომარე - ნაცი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — ნაცი.

თბილისის მთავრობა — ნაცები.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე — ნაცი (ყოფილი, მაგრამ პრინციპში რა მნიშვნელობა აქვს).

საპარლამენტო ოპოზიცია — ნაცები.

პარლამენტში ოცნებაში გადაბარგებული რამდენიმე „თვალსაჩინო“ დეპუტატი — ნაცები.

პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში — ძალიან ბევრი ნაცი (ესენიც ყოფილები, ანუ როგორც „დაუვიწყარი“ ხუხაშვილი იტყოდა „რეჟიმის მსხვერპლნი“).

სამინისტროებში, სახელმწიფო დაწესებულებებში — ნაცები.

ტელევიზიებში მოკალათებული უამრავი ნაცი (იგივე უპრინციპო ჟურნალისტები)...

უბრალოდ წარმოიდგინეთ, რომ ფაშიზმის დამარცხების შემდეგ გერმანიის ახალ ხელისუფლებას, სიდედრის მიერ დაგირავებული ბინის სანაცვლოდ, პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა შტრაიხერი, პოლიციის მაღალ თანამდებობებზე დაეტოვებინა გესტაპოს ყოფილი შეფი მიულერი და ყოფილი ესესელები დასჯის ნაცვლად დაეწინაურებინა, ხოლო ზემოთ ნახსენები რუდოლფ ჰესი, რომელიმე სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელად დაენიშნა.

ძალიან საინტერესო იქნებოდა ფრანგების, ამერიკელების, ბელგიელების, ინგლისელების (საბჭოთა მოქალაქეებზე არაფერს ვამბობ) რეაქცია იმ პოლიტიკოსზე, რომელიც მარტინ ბორმანს (ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი) პოლიტიკურ დევნილად, ხოლო ოტო სკორცენს რეჟიმის მსხვერპლად შერაცხდა.

ძალიან საინტერესო იქნებოდა იმ რეაქციის ნახვა, რაც საზოგადოებას ექნებოდა ვთქვათ ტელეკომპანია ბი-ბი-სის მიმართ, თუ მის ეთერში გავიდოდა თოკშოუ, რომელშიც ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვეები იქნებოდნენ მიწვეულნი. დარბაზში რამდენიმე დამსწრეს ჰიმლერის პორტრეტიანი პლაკატი რომ აეფრიალებინა და გადაცემის წამყვანს „სიტყვის თავისუფლების“ საბაბით მათთვის გადაცემის დროის ნახევარზე მეტი დაეთმო.

ისმის მუდმივი შეკითხვა: რა ვქნათ?

მართლაც რა უნდა ქნას საზოგადოებამ მაშინ, როცა ფილმ „დარიკოს“ ერთ-ერთი გმირისა არ იყოს, „ჩაფარიც ამათია, პრისტავიც და ჯარიც“.

არადა საქართველოს თავზე დატეხილი ცხრაწლიანი საშინელების შემოქმედი მიხეილ სააკაშვილი, მისი ბოლო განცხადებიდან გამომდინარე, საერთოდ ხელის დაბანას აპირებს. „მე საერთოდ პოლიტიკაში, ძალიან გთხოვთ, ნუ ჩამრევთ. გითხარით, რისთვისაც ვარ აქ. საკმარისი ქართული პოლიტიკა მქონდა ცხოვრებაში. იმისათვის, რომ გამანებოთ თავი ამ თემაზე მაინც, მაგრამ ეს რაც ხდება, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველანაირი ჩვენი ადგილობრივი რაღაცები“.

ამ საშინელებების ხერხემალი კი სასამართლო დარბაზში ტირის. ტირის, მაგრამ მისი ცრემლები არა ჩადენილი დანაშაულობების მონანიებით არის გამოწვეული, არამედ ოჯახის მონატრებით (არადა ამ წერილში უკვე რამდენჯერმე ნახსენებმა რუდოლფ ჰესმა ჩამოხრჩობამდე რამდენიმე დღით ადრე წერილი მისწერა პროკურორს, რომელშიც ინანიებდა მის მიერ ადამიანებისთვის მიყენებულ ტანჯვას და პატიებას სთხოვდა უფალს და პოლონელ ხალხს).

ეს წერილი სოციალურ ქსელ ფეისბუკში გამოქვეყნებული ერთი სტატუსით მინდა დავამთავრო. სტატუსით, რომელსაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა, რადგანაც მასში საზოგადოების დიდი ნაწილის პოზიცია საკმაოდ ზუსტად გამოიხატა.

ვანო მერაბიშვილო, როცა ასობით ახალგაზრდას ხოცავდით ქუჩებში და მათი სიკვდილიანობა სტატისტიკად აქციეთ, არ გიტირიან! შენი ცოლის და ქალოია დონაძის განკარგულებით წამებით მოკლულ სანდრო გირგვლიანზე არ გიტირიან! თქვენს მიერ ყაჩაღად შერაცხულ და სადისტურად ჩაცხრილულ ზურა ვაზაგაშვილზე არ გიტირიან! პატრულის მიერ ხელებაწეულ ბუტაზე ნასროლი ტყვიის გამო არ გიტირიან! ნულოვანი ტოლერანტობით შეგულიანებული პატრულის მიერ მოკლულ გიო გამცემლიძეზე არ გიტირიან! შენი დორბლიანი მთავარსარდლის მიერ წამოწყებული ომის შედეგად დაკარგულ ტერიტორიებზე არ გიტირიან! ქუჩაში მოკლულ გურამ შარაძეზე არ გიტირიან! ჟვანიას „გაზით გაგუდვაზე“ არ გიტირიან! ძაღლებივით სახლებიდან გამოყრილ დევნილებზე არ გიტირიან! მილიონნახევარ სიღარიბის მიღმა მყოფ საქართველოს მოქალაქეზე არ გიტირიან! ციხეში ნაწამებ პატიმრებზე არ გიტირიან! შეურაცხყოფით და ტკივილით ციხეში გარდაცვლილ თეთრაძეზე არ გიტირიან! ბიზნესმენებისთვის ქონების წართმევის მიზნით წამება-დაჭერა-დაშანტაჟება, დაშინებაზე არ გიტირიან! აბსურდული ბრალდებით კობალაძის, მაისაიას და სხვა ათასობით ადამიანის დაჭერაზე არ გიტირიან! тоже мне გულჩვილ!

ამ სტატუსს კი ჩემის მხრიდან დავამატებ: — საქართველოს ცრემლების არ სჯერა. განსაკუთრებით კი ნიანგის ცრემლების!

გია გაბრიჭიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ერთი კახიძეს და ბოკერიას ჰკითხეთ, დიდის ამბით რო აწვებიან ამ „ორ ტრუპს“ და ამტკიცებენ, ეს ორი გვამი იგულისხმა ვანომო... ვინ მოკლა ეს 2 რუსი სპეცსამსახურის აგენტი? ყველა ლოგიკით იმდროინდელმა ხელისუფლებამ გაანეიტრალა ხო? ხოდა თქვენივე მოკლულ „ორ ტრუპს“ რა ძებნა და პრემია უნდოდა, ვინ მოგპარავდათ? სად მოკალით, ადგილს ვეღარ აგნებდით? თუ ამ გამოგონილ „ორ ტრუპსაც“ ოთანაძეს და ამირიძეს ტენით?

● მინდა ორი პოლიტიკური გვამი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და რესპუბლიკური პარტია! პრემია დიდია!

● ის ორი რუსი მრჩეველი, ვისაც ვანო ეძებდა, არც ერთ მაშინდელ განცხადებაში არ უხსენებიათ. მართლა რომ ყოფილიყვნენ, ნაცები მაგას გაუშვებდნენ ხელიდან? ახლა გივია ყვი—ყვიმ არ თქვას, რომ მაშინ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაფუჭებას მოვერიდეთო!

● გრიგოლიამ რა ოპერატიულად ჩაურთო კადრი, როგორ დაიხვეწა ეს გოგო. მაინც რას ნიშნავს პროფესიონალი.

● კვალის დაფარვის მიზნით 2 რუსეთის მოქალაქე მოკლეს და გააქრეს და მაგათსავე სასამართლომ დაუმორჩილებლობის ბრალდება წაუყენათ?

● ვისაც მწყერზე უნადირია, იმან იცის, რა ძნელი მოსაძებნია მოკლული მწყერი. უძაღლოდ იშვიათია მიაგნო. ამ ბოგანოების ფანტაზია მწყერზე ნადირობის იქით ვერ მიდის და რა ქნან!

● გულის შეტევას ძლივს გადავურჩი, ამ ეთერს რომ ვუყურე!!! ტიპები უტიფრად იძახიან, ხო ცოცხლები არიანო, 9 ტყვია მოხვდა, უფლის წყალობით გადარჩა და აიო, ლიკვიდაცია ვის უნდოდა, უბრალოდ შეაშინესო. გაიტანეთ რეაქციონერი გრიგოლია! ნაცმოძის ფარული (თუ აშკარა) ტრიბუნაა!

● არიან რა, ერთი გუნდი ნაცხროვა და „რუსთავი-2“, ძალიან ლამაზად და კოსტად სიუჟეტით გადმოგვცეს, რომ წუხელი გასულ წელთან შედარებით მარტო ერთ ღამეში 1500 ტონა მარილი მოიყარა ქუჩებში...ესეც ასე დათვალეთ ახლა და იყავით.

● ძრწოდეთ თურქული სერიალების მოძულენო, ხვალიდან სავაშ ბალდარი ბრუნდება...

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

ქართული მხარე სოჭის ოლიმპიადაზე საკონსულოს წარმომადგენელს მიავლენს

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ზალკალიანმა აღნიშნა, უსაფრთხოების იმ ზომებს, რომელსაც საფრანგეთი და თუნდაც ბრიტანეთი იღებს, ქართული მხარე ვერ მიიღებს თავის სპორტსმენებთან მიმართებაში, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს.

— გარკვეულწილად, უსაფრთხოების კომპონენტი - უშუალოდ ჩვენ ვერ ვიყოთ ჩართული, შეზღუდულია, თუმცა გვაქვს რწმუნება ორგანიზატორების მხრიდან, რომ ქართველი ოლიმპიელების უსაფრთხოებას არანაირი საფრახე არ ემუქრება. ჩვენ მივავლენთ სოჭში, შვეიცარიის ინტერესთა სექციის ფარგლებში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელს, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დარჩება სოჭში, მისი ქმედებები იქნება შესაბამისი ჩვენი კანონმდებლობის. ტერიტორიულად ის იქნება შვეიცარიის სექციის ტერიტორიაზე, რადგან შვეიცარია ჩვენი ინტერესების სექციაა რუსეთში, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, საკონსულოს წარმომადგენელი 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მასთან დაკავშირება.

ინტერპრესი

როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ამ ბოლო ხანს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ რამდენჯერმე დაიბეჭდა წერილები „თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრის“ დირექტორის, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის საქმიანობის შესახებ, რომლებშიც, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკულად არის შეფასებული ამ დასტაქრის პროფესიონალიზმი.

ამ საქმეში ჩვენს გაზეთსაც მოუხდა ჩარევა, რადგან ბევრმა პაციენტმა, ვინც ბატონი გურამის მადლიანი ხელის წყალობით სატკივარი მოიშორა და ჯანმრთელობა აღიდგინა, მოგვმართა თხოვნით, გამოგვექვეყნებინა მისი მხარდამჭერი წერილები.

თუმცა, ჩვენი რედაქციის მთავარი მიზანი რომელიმე მხარისთვის უპირობო მხარდაჭერა კი არა, ექიმსა და პაციენტს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარება იყო. სწორედ ამ მიზნით ვთხოვეთ ორიოდე კვირის წინათ ბატონ გურამ ქარაზანაშვილს, მოლაპარაკება-მორიგების და ყოველმხრივი დახმარების გაწევის მიზნით შეხვედროდა ბატონ შოთა კაპანაძეს, რისთვისაც მან სრული მზადყოფნა გამოთქვა. ბატონი შოთაც დაგვპირდა, მივალო, მაგრამ პირობა არ შეასრულა.

ამის მერე ბატონ გურამ ქარაზანაშვილს ვთხოვეთ, თვითონ გვწვეოდა რედაქციაში და აქ შეხვედროდა თავის ყოფილ პაციენტს „ასავალ-დასავალის“ წარმომადგენელთან ერთად.

შეხვდნენ კიდეც ჩვენს რედაქციაში ისინი ერთმანეთს („ასავალ-დასავალის“ რედაქციის წარმომადგენელი შეხვედრაზე, სამწუხაროდ, არ მოვიდა), მაგრამ სასიკეთო საბოლოო შედეგს ვერ მივაღწიეთ.

შოთა კაპანაძეს უნდა, რომ ოპერაცია საზღვარგარეთ გაიკეთოს და, შესაბამისად, სოლიდურ თანხას ითხოვს ქირურგისგან. ან იმ შემთხვევაში დათანხმდება საქართველოში ოპერაციის გაკეთებაზე, თუ იგი სხვა კლინიკაში გაუკეთდება. ქირურგს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. თუმცა, მან ჩვენი თანდასწრებით კიდევ ერთხელ განუცხადა პაციენტს, რომ ის მზად არის მის დასახმარებლად: „კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ პაციენტი დაზარალდა სხვა კლინიკაში, სადაც მას საშარდე მილი დაუზიანეს. ჩვენთან მეორედ გაუკეთდა ოპერაცია, ჩავუდგით იმპლანტანტი, მაგრამ აპარატმა არ იმუშავა, ანუ ჩვენ ვეცადეთ მის დახმარებას, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ გამოვიდა.

ამის მიუხედავად, მე პაციენტს ვთავაზობ ხელახალ ოპერაციას. მოვიწვევ კონსილიუმს, რომელსაც საძართველოს უროლოგთა ასოციაციის წარმომადგენლები დაესწრებიან. ისინი, ასევე, დაესწრებიან ოპერაციას, რათა დარწმუნდნენ, რომ აპარატის იმპლანტაცია ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“, — განაცხადა ქარაზანაშვილმა.

იმის მიუხედავად, რომ შვეიცარიულმა კომპანია „ზეფირმა“ სექტემბერში უკვე გამოგზავნა ახალი აპარატი და ასევე წარმომადგენელი კაპანაძის ოპერაციაზე დასასწრებლად, პაციენტმა ამაზე უარი განაცხადა. ქარაზანაშვილი ამბობს, რომ ის სთხოვს კომპანიას, კიდევ ერთხელ გამოაგზავნოს წარმომადგენელი საქართველოში და მისი თანდასწრებით გაუკეთებს კაპანაძეს ოპერაციას.

კაპანაძე ამაზე კვლავ რატომღაც ჯიუტად აცხადებს უარს. შეთავაზება ძალაში რჩება ქირურგის მხრიდან.

ასე რომ, დაპირისპირება, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ დაიძლია. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში კი კვლავაც მოდის წერილები. დღეს გთავაზობთ წალენჯიხიდან გამოგზავნილ ერთ მასალას.

პატივცემულო რედაქცია, მოგესალმებით მოკრძალებით და გთხოვთ, მომცეთ საშუალება, რომ საკუთარი პოზიცია გამოვხატო, ჩემი ღრმა რწმენით, ერთი მტკივნეული საკითხის გამო. პირდაპირ ვიტყვი, რომ აღშფოთებული ვარ, ამ ბოლო ხანს პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის წინააღმდეგ აგორებული ბინძური კამპანიით.

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ მქონია ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის ნაწლავების პერფორაციის დაგვიანებული შემთხვევაც, რაც, ფაქტობრივად, სიკვდილს ნიშნავს. ეს იყო 50 წლის წინათ. მაშინ ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ვიყავი, სტუდენტი. მოსკოვში ვცხოვრობდი და, ბედად, ს. ბოტკინის საავადმყოფოში აღმოვჩნდი. მოხდა სასწაული და გადამარჩინეს იმ „საზიზღარმა“ რუსებმა.

დღეს 72 წლის კაცი ვარ, როგორც იტყვიან, დაავადებათა მთელი „თაიგულით“ შემკობილი, მაგრამ არ ვნებდები.

სიძულვილ-ცილისწამებით ნუ მოვინამლებით და ნურც სხვებს მოვნამლავთ!

ერთი მიზანმიმართულად სახელგამზეხი კამპანიის გამო

გურამ ქარაზანაშვილი

საუბარი იქითკენ მიმყავს, რომ არც საკუთარი გამოცდილებით, არც აღზრდით, ოჯახიშვილობით და ცხოვრების წესით არა ვარ ის კაცი, რომელმაც შეიძლება არ გაითავისოს იმ ადამიანის განცდა, ვინც ოპერაციის შემდგომ მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებას ელოდება, მაგრამ შედეგი სასურველი არ არის.

ამიტომაც, სრულად მესმის საკითხის სიმწვავე და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, აბსოლუტურად პატიოსნად და გულწრფელად თანავუგრძნობ დაზარალებულს, ბატონ შოთა კაპანაძეს.

პროფესორ გურამ ქარაზანაშვილთან რამდენიმე წლის წინათ მოვხვდი, როცა მისი კლინიკა ჯერ კიდევ ვაკეში, ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე იყო განთავსებული.

შთაბეჭდილება იყო ამგვარი: **თავისი საქმის უბადლო ოსტატი, გულისხმიერებითა და დიდი შინაგანი კულტურით დახუნძლული კაცი, ერუდიტი და ინტელექტუალი...**

სამედიცინო პრაქტიკაში, განსაკუთრებით ქირურგიაში უხვად არის მაგალითები, როცა უდიდესი სპეციალისტებიც კი დაუჯერებელ საბედისწერო შეცდომებს უშვებდნენ, რაც, ცხადია, ფატალური შედეგით მთავრდებოდა ხოლმე.

1966 წელს მოსკოვში, ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში მსოფლიოში აღიარებული ქირურგი აკეთებდა პარაპროქტიტის თუ რაღაც ამის მსგავს არცთუ ისე რთულ ოპერაციას, რომლის მსგავსსაც წარმატებით აკეთებს ნებისმიერი პროვინციელი ქირურგი. პაციენტი საოპერაციო მაგიდაზე დაიღუპა. ის გახლდათ 59 წლის კაცი, საბჭოთა სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის მამამთავარი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, საუკუნის ადამიანი, კაცი-ლეგენდა, აკადემიკოსი სერგეი კოროლიოვი.

სადღაც წამიკითხავს: დიდი მეცნიერი, საბჭოთა ქირურქიის პატრიარქი თურმე სტუდენტების თანდასწრებით ატარებდა სასწავლო თუ საჩვენებელ ოპერაციას. ოპერაციის მსვლელობის დროს კომენტარებს აკეთებდა და უხსნიდა მათ: აი, ეს ასე უნდა გააკეთოთ, ეს — ასეო და ა. შ. და ა. შ. რაღაც მომენტში გაითიშა და უნებლიედ გადაჭრა სასიცოცხლო არტერია, რასაც მოჰყვა პაციენტის მყისიერი სიკვდილი. შოკირებულმა აკადემიკოსმა ოლიმპიური სიმშვიდით გადააგდო სკალპელი და სტუდენტებს უთხრა — აი, ასე არ უნდა გააკეთოთო (ალბათ, მკითხველს გაახსენდება ის შემთხვევაც, როცა ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესმა გენიოსმა, კლასიკური მექანიკის ფუძემდებელმა ისააკ ნიუტონმა მდულარე ქვაბში მოსახარშად კვერცხის ნაცვლად საათი ჩააგდო).

რაღა შორს წავიდე, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენი რაიონის მკვიდრს, რესპუბლიკაში გამოჩენილ ადამიანს თბილისში ოპერაცია გაუკეთა იმ დროის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ქირურგმა. გინდა დაიჯერეთ, გინდა არა — პაციენტის მუცლის ღრუში უცხო სხეული ჩარჩა დასტაქარს.

კარგად მახსოვს ერთი სკანდალურად გახმაურებული ამბავი, როცა აფხაზეთში გამოცდილმა ქირურგმა ბავშვს შეცდომით შარდის ბუშტი ამოკვეთა და სამუდამოდ დაინვალიდა.

ბატონი გურამ ქარაზანაშვილის შემთხვევაში ხომ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და **მისი „ბრალი“ მხოლოდ ის არის, რომ ვერ მოახერხა ავადმყოფისთვის სხვა კლინიკაში სხვის მიერ მიყენებული ზიანის გამოსწორებაI მაგრამ ეს ხომ არ არის იმისათვის საკმარისი არგუმენტი თუ საბაბი, რომ ასე ულმობლად მიწასთან გაასწორო ადამიანი?**

უსინდისობაა თუ მეტი არა, როცა გურამ ქარაზანაშვილს — დიდ მეცნიერს, მსოფლიოში აღიარებულ უროლოგს, ეროვნული პრემიის ლაურეატს, ამერიკისა და ევროპის უროლოგთა ასოციაციის წევრს, ადამიანს, ვინც ამ გაუსაძლის დროს უანგაროდ დგას ხალხის სამსახურში, უწოდო ყასაბი!

ამ ისტორიაში არის ერთი ძალზე მარტივი და ლოგიკური კითხვა: **როცა პროფესორ გურამ ქარაზანაშვილს ყასაბს ეძახი, რას ეუბნები იმის ყოფილ პაციენტებს, ამ „ყასბის“ მადლიანი და დალოცვილი მარჯვენით ლამის საიქიოდან მობრუნებულ ადამიანებს? ცოდვა და მადლი ხომ არის ამ ქვეყანაზე? და, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე ხომ მართლაც ურმით დადის, რომელიც ყველგან მივა?**

გულწრფელად გითხრათ, დიდად არ მიკვირს ეს უხამსობა. **ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ვისაც, როგორც არავის, შეუძლია დანისა და ტყვიის გარეშე მოკლას ადამიანი?**

ასე არ კლავდნენ დიდ ივანე ჯავახიშვილს, ასე არ გაუხეთქეს გული ნოდარ ახალკაცს, მერაბ მამარდაშვილს, თენგიზ ჩანტლაძეს, ბორის წიფურიას?..

უსაშველოდ გრძელი და შემზარავია ეს სია! სულმნათ ლევან სანიკიძის მიერ სკრუპულოზურად დათვლილი და კარგი გაგებით დეკლარირებული ქართველთა 309 სირცხვილიც რომ რაღაცნაირად ესადაგება ამ სამარცხვინო „ეპოპეას!“

თავის დროზე ვიქტორ ასტაფიევის ცნობილმა პუბლიკაციამ — „ციმორის ჭერა საქართველოში“ გააბრაზა ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი. არადა, მე რომ მკითხოს კაცმა, პრინციპში ის მართალი იყო: ეპიგრამისა არ იყოს, **თუ სახე მახინჯი გაქვს, ეს რა სარკის ბრალია?** ეს ეპიგრამა ისეთივე გენიალურია, როგორც თვით მწერლის უკვდავი ქმნილება.

დავით კლდიაშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის შედევრები ტოლს არ უდებენ მოლიერისას. და ამ შედევრებს სიძულვილი კი არა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ქმნიდა.

დიდი ხნის წინათ, ჩემი ახალგაზრდობის წლებში, მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი რაინდული ბუნების მქონე დიდებულ ადამიანს, ევროპული კულტურის მატარებელ ღრმა ინტელიგენტსა და დიდ უროლოგს სოკრატ არშბას, ახლოს ვიცნობდი საოცრად ქარიზმატულ კაცს, იმ თაობის უროლოგთა დიდ აქსაკალს ბატონ თომა ჯაფარიძეს, რომლის სავიზიტო ბარათს დღემდე მოწიწებით ვინახავ; ჩემს ბიბლიოთკას ამშვენებს დიდი მეცნიერებისა და მამულიშვილების ეგნატე ფიფიას და მემედ კომახიძის ნაჩუქარი წიგნები ავტორთა ავტოგრაფებით, მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება გამოჩენილი ოფთალმოლოგის ლევან ორკოდაშვილის სახე, ალბათ, გამოვხატავ საერთო აზრს, თუ ვიტყვი, რომ სულმნათი ვახტანგ ბოჭორიშვილი იყო, არის და მარად დარჩება როგორც ქართველის, მკურნალის, მეცნიერის, ინტელიგენტისა და მამულიშვილის სიმბოლო.

თქმა არ უნდა, დღესაც ქართული მედიცინის სამსახურში დგანან გამოჩენილი მეცნიერები, ინერგება ახალი ტექნოლოგიები, უცხოეთის მოწინავე გამოცდილება და ა. შ. ამისი დაუნახაობა არ შეიძლება, და მაინც...

რა პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, დღეს ქართულ სამედიცინო სივრცეში გაუგონარი კონკურენციაა. იმ აუცილებელი განმარტებით, რომ პროცესი, არსებითად ეხება ფინანსურ მხარეს. ამ პაექრობაში ბევრს ჰყოფნის სინდისი, იბრძოლოს მიღებული თუ მიუღებელი ხერხებით და კონკურენტს წელს ქვემოთ მიაყენოს დარტყმა. ბევრმა მედროვე ვაიმეცნიერმა, ვინც კარგად მოერგო ყველა ხელისუფლებას, უსირცხვილოდ მოისხა საუკუნის მეცნიერის მანტია და ყალბი თავმდაბლობითა და პოლიტიკური კეკლუცობით აღიზიანებს ისედაც გაღიზიანებულ და დაბეჩავებულ საზოგადოებრიობას. თეთრხალათიანი „ცეხოვიკების“ და საქმოსნების არმადამ წალეკა ჯანდაცვა.

ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ ვიღაცას ძალიან არ მოსწონს ბატონი გურამ ქარაზანაშვილის მზარდი პოპულარობა. მისი დისკრედიტაციისაკენ მიმართული კარგად ორგანიზებული ბინძური კამპანია მიზნად ისახავს ბატონი გურამისა და მთლიანად მისი კლინიკისათვის სახელის გატეხას, მაგრამ მეუფლება განცდა, რომ ეს კამპანია ჩაიფუშა, და ჩაიფუშა იმიტომ, რომ გურამ ქარაზანაშვილი სრულიად საქართველოს საამაყო შვილია.

შესაძლოა ერთგვარად თამამად ჩანდეს ეს განცხადება, მაგრამ ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და ვიტოვებ უფლებას, გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. ჩვენს მყიფე პლანეტას, ვინ იცის, რამდენი საფრთხე ემუქრება: გლობალური დათბობა, გამყინვარება, პანდემია, ასტეროიდი და ა. შ. და ა. შ. ამიტომაც, იქნებ მართლაც უფრო გავუფრთხილდეთ ერთმანეთს?

...ვინც როგორც არ უნდა გამიგოს და სენტიმენტალიზმშიც ჩამითვალოს, დიდი სურვილი მიჩნდება, ეს ჩემი გულისთქმიანი წერილი დავამთავრო პოეტის გენიალური სიტყვებით:

„კუზიანო დედამიწავ,
შენც სამარე გაგასწორებს“.

ვალერი ჟანტურია,
საქართველოს ორი მოწვევის
პარლამენტის წევრი.
წალენჯიხა.

◎ ანგარიში

ნელი ტემპით, მაგრამ ხარისხიანად!

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრატეგიამ გაამართლა

9 ახალი ხიდი, 15 კმ. ახალი გზა ავტოსატრანსპორტო მოძრაობისთვის, 260 კმ. გზის, 4 გვირაბის, 1 ზვავდამცავი გალერეისა და 45 ხიდის რეაბილიტაცია, დამატებით სხვა 18 პროექტის განხორციელება, — ეს ჩამონათვალი უფლებას აძლევს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გაწეული მუშაობით კმაყოფილი იყოს და 2013 წელიც წარმატებულად მიიჩნიოს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანმა ქვეუწყებამ გასული წელი შეაჯამა და ანგარიში საზოგადოებას „ჰოლიდეი-ინში“ წარუდგინა.

ღონისძიება მინისტრმა **დავით ნარმანიამ** გახსნა. მან აქცენტი შესრულებული სამუშაოების ხარისხზე გააკეთა და აღნიშნა: **„თავის დროზე, როცა რამდენიმე საკვანძო პრობლემა ამოვწიეთ, ერთ-ერთი იყო ხარისხი. ამან შედეგი მოგვცა. 320 ტონა უხარისხო ბითუმი გაბრუნდა უკან, ირანში... პოლიტიკური ოპონენტები გვაკრიტიკებდნენ შეფერხებული სამუშაოებისა და ნელი ტემპის გამო. პრემიერმა ივანიშვილმა დამიბარა კიდეც თავისთან. როცა ავუხსენი ჩვენი სტრატეგია, მოიწონა... წლის ბოლოს ყველა სამუშაო ჩავაბარეთ. თანაც ხარისხიანად“.** პრეზენტაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **ვაჟა ფანჩულიძემ** წარმოადგინა. 2013 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის დაგეგმილი ბიუჯეტი, რომელიც 523 მილიონ ლარს შეადგინა, 95,4 პროცენტით შესრულდა. ამასთანავე 4 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა. 2013 წელს 32 ტენდერი გამოცხადდა. მიღწეული შეთანხმებების შედეგად კონტრაქტორი ვალდებულებას იღებს 70 პროცენტის ნაცვლად, 10 პროცენტით მეტი ადგილობრივი კადრი დაასაქმოს, პროექტის მართვის რგოლის 30 პროცენტი კი ადგილობრივი საგზაო ინჟინრებით დააკომპლექტოს.

„ძალიან მნიშვნელოვანია ჩქაროსნული გზის მშენებლობა, რომელიც გასულ წელს 111 კმ-ზე განხორციელდა. წელს კი 140 კმ გზის მშენებლობას ვვარაუდობთ. მნიშვნელოვანი პროექტები შესრულდა გზის სხვადასხვა მონაკვეთებზე: რუისი-აგარის მონაკვეთზე, ზესტაფონი-ქუთაისი შემოვლითი — სამტრედიის გზაზე, ქობულეთის შემოვლით გზაზე, სამტრედია-გრიგოლეთის გზაზე, აგარა-ზემო ოსიაურის, გუდაური-კობი-ლარსის გზებზე... მოკლედ, 2013 წელს სულ რეაბილიტირებულია: 55 კმ საერთაშორისო მნიშვნელობის, 157 კმ შიდასახელმწიფოებრივი და 47 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზა“, — აღნიშნა ვაჟა ფანჩულიძემ...

მათ შორის აღსანიშნავია თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობა. გასულ წელს 7 კმ-ზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, აშენდა 14 წყალგამტარი რკინა-ბეტონის მილი. მდინარე გლდანულაზე 549-მეტრიანი ხიდის რეაბილიტაცია მოხდა. 0,4-კმ-იან მონაკვეთზე გამოვლინდა აქტიური მეწყერული ზონა. მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვის სამუშაოებმა შეაფერხა გზის ექსპლუატაციაში შესვლა. პროექტის სრულფასოვნად დასრულების შემდეგ, სატრანზიტო მოძრაობა ახალ მიმართულებაზე გადაერთვება და დედაქალაქში გამავალი ავტომაგისტრალი განიტვირთება. გზებისა და მაგისტრალების მშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას. მაგალითად, იგოეთი-სვანეთის მონაკვეთზე 8 ათასი ფიჭვის ნერგი დაირგო. დეპარტამენტის კონტრაქტორი კომპანიები ვალდებულებას იღებენ, მოჭრილი ერთი ხის ნაცვლად მიმდებარე ტერიტორიაზე 3 ახალი ხე დარგონ.

როგორც წესი, ახალი გზის მშენებლობის პროცესი ხშირად დამატებითი ფართობების ათვისებას მოითხოვს. მშენებლობის არეალში ექცევა ხოლმე კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ფართობები. განსახლების სამოქმედო გეგმის მთავარი პრინციპი კი ასეთია — გზის მშენებლობის გამო ადგილობრივთა ცხოვრების პირობები არ უნდა გაუარესდეს. გასულ წელს სულ 1145 ხელშეკრულება გაფორმდა, რის საფუძველზეც სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა 13 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონება.

საგზაო დეპარტამენტის ანგარიშში სხვა საინტერესო დეტალებიც მოხვდა. მათ შორის ყურადღება გამახვილდა ტენდერების გამჭვირვალობასა და ღიაობაზე. როგორც თავმჯდომარის მოადგილემ **იოსებ ქადაგიშვილმა** განაცხადა, საუბარია ტენდერის ჩატარების ცვლილებებზე, ვინაიდან ელექტრონული ტენდერები არც თუ ხარისხიანი აღმოჩნდა. დავით ნარმანიაც ეჭვობს, რომ უსაშველოდ დაგდებულმა ფასმა შეიძლება პრობლემები შექმნას ხარისხთან დაკავშირებით.

და, ბოლოს, რა გეგმები აქვს სამინისტროს 2014 წელს? **„საბიუჯეტო რესურსები წელს იმავე მოცულობით გვაქვს, როგორც წინა წელს, თუმცა, მოგვცეს პირობა, რომ საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტიდან დამატებითი რესურსების მოპოვება არ გაჭირდება. ადრე გაზაფხულზე დაიწყება სამუშაოები ყველა რეგიონში. გეგმები არსებობს, ფინანსები გაანგარიშებულია. ადამიანები ელოდებიან სამუშაო ადგილებს, რათა სარგებელი დროულად შეიტანონ ოჯახებში. ასეც იქნება. ქვეყანაც წლის ბოლომდე ყველა გეგმას განახორციელებს“,** — დასძინა მინისტრმა.

თეა მოსია

◎ პიროვნული სინქრონიზაცია

ვანო სულ გამოპენტერდა!

მერაბიშვილის ტვინი სხვას ფიქრობს, ენა სხვას ამბობს...

მთავარმა პროკურატურამ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოზე, რომელშიც ვანო მერაბიშვილი „დიდი პრემიის“ სანაცვლოდ სამხედრო ხელმძღვანელებისაგან „ორ გვამს“ ითხოვს, გამოძიება დაიწყო. მოწმის სტატუსით უკვე დაიკითხა „მუხროვანის ამბოხში“ ბრალდებულები, ლევან ამირიძე, კობა ოთანაძე და სპეცოპერაციისას დაღუპული გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი. გამოძიების ფარგლებში, შესწავლილი იქნება მუხროვანში ჩატარებული სპეცოპერაციის კანონიერებაც.

გამოძიებას ჯერჯერობით არ დაუკითხავს კიდევ ერთი „ბრალდებული“, ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი, „გენერალთა კლუბის თავმჯდომარე“ კობა კობალაძე. გენერალ-მაიორი აცხადებს, რომ შეკრებილი იყო ხროვა, რომლის წევრიც იძახის, რომ უნდა ნადავლი — ორი გვამი, რომლებშიც კონკრეტული დამნაშავეები არ იგულისხმებიან.

For.ge კობა კობალაძეს ესაუბრა.

— მუხროვანში ჩატარებული სპეცოპერაციის კანონიერებაზე გამოძიება დაიწყო. თქვენ დაგკითხათ გამოძიებამ? რას ელოდებით ამ გამოძიებით?

— ჯერჯერობით არავის არ გამოვუძახებივარ. თუ გამომიძახეს, არ დავამადლი, ვეწვევი, ამ გამოძიებისგან ველოდებით ჭეშმარიტების დადგენას. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. დღეს უკვირთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ ვიდეოკადრების გამოქვეყნება, როცა ამის ჩვენება თვითონ დანერგეს ამ საზოგადოებაში, დისტანციით და ვიდეოკამერებით ესაუბრებოდნენ საზოგადოებას.

— ამ საქმეზე გასამართლებულმა პირებმა და მათ შორის ლია კრიალაშვილმა მიმართა მთავარ პროკურატურას, რომ დაეწყოთ საქმის გამოძიება, მაგრამ გამოძიება არ დაწყებულა. როგორ ფიქრობთ, ამ კადრების გამოქვეყნებამდე რატომ არ დაიწყო ამ საქმის გამოძიება?

— რამდენადაც გვაქვს ინფორმაცია, ამ საქმის ხელახალ გამოძიებაზე უარი არ უთქვამთ. უბრალოდ, რიგითობის მიხედვით, შეიძლება უფრო აქტუალაური საკითხებიც იყო.

— „ნაციონალური მოძრაობას“ მერაბიშვილის განცხადებაზე „ორ გვამთან“ დაკავშირებით სხვა ახსნა აქვს. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს არ იყო პირდაპირი მნიშვნელობით გაკეთებული განცხადება, უგულავა მერაბიშვილის გრამატიკის არცოდნით ხსნის. მერაბიშვილი ამბობს, რომ „ორ გვამში“ გულისხმობდა რუს ინსტრუქტორებს. თქვენც ე.წ. „ამბოხის“ ორგანიზების ბრალდებით დაგაკავეს. სასამართლოზე რუსულ კვალზე საუბარი არ ყოფილა, საიდან გაჩნდა ამ საქმეში რუსული კვალი?

— „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დღეს უკვე ვერ აფიქსირებენ, რომ მე ვიყავი ამ პროცესის მონაწილე. ამ დროს სასამართლო პროცესზე წარმომადგინეს როგორც ერთ-ერთი ინიციატორი. ამათმა ასე იციან, დააბრალებენ ქვეყნის დაქცევას კაცს, თავზე დაამტვრევენ ყველაფერს და მერე ამბობენ, რომ თურმე, ასე არ ყოფილა. ასე ხომ არ შეიძლება, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, არის ადამიანის ავტორიტეტი, ცხოვრების წესი, ოჯახი და ა.შ. კადრებში საკაშვილი პირდაპირ მითითებებს აძლევს ძალოვან მინისტრებს, როგორ უნდა იმოქმედონ თავის ქვეყნის მოქალაქეებზე, ეს კი, გარკვეულწილად, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

ჩემთვის ამ ეტაპზე „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის პოზიცია ნაკლებ საინტერესოა. მათ აქვთ რაღაც სტანდარტები, რომლიდან გამომდინარე ისინი საუბრობენ, ახლა, უბრალოდ, ეს სტანდარტები აერიათ. ახლა ეს ყველაფერი დაბრალეს იმას, რომ მერაბიშვილს დარღვეული აქვს ტვინსა და ენას შორის სინქრონიზაცია. მეორე ნაწილი საუბრობს, რომ ეს ყველაფერი იყო მართული, მესამე ნაწილმა მაშინვე გრუ-სთან დააკავშირა.

ერთი რამე გვავიწყდება, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სპესამსახურებში მსახურობს, ეს ნიშნავს, რომ ის ადამინი აყვანილია კონტროლზე და არც ერთი სახელმწიფო არ მისცემს თავს იმის ფუფუნებას, რომ თავისი სპეციალისტი, თუნდაც ამ შემთხვევაში, ჯაშუშის სახელით სარგებლობდეს და სხვა სახელმწიფოში, სადღაც, უგზო-უკვლოდ იყოს მიწაში ჩაფლული. 9 თვის მანძილზე მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, ამ დროის განმავლობაში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მოწმეებიდან, არსად არ ფიგურირებდა და არსად არ გაჟღერებულა ამ პიროვნებების შესახებ.

— ყოფილი მმართველი გუნდი ამტკიცებს, რომ სამართლებრივად ეს იყო სწორი გადაწყვეტილება და სასამართლო პროცესებმაც ეს დაადასტურაო...

— თქვენ უნდა გენახათ ოქროს მოწმის, გია ღვალაძის დაკითხვის პროცესი. მან სასამართლო პროცესზე გადათქვა ყველაფერი. აღიარა, რომ წინასწარ გამოძიებაში მასზე და მის ოჯახზე ხორციელდებოდა საკმაოდ მძიმე ფსიქოლოგიური, ფიზიკური და მორალური ზეწოლა. მაგრამ თქვენ ვერ მომიყვანთ ერთ პატარა ეპიზოდს, სადაც საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდის პოზიციით გამოდის ყოფილი ხელისუფლება. ყველაფერში არ შეიძლება მართალი იყო.

საკმაოდ ხშირად აპელირებენ ამ ჯაშუშებზე და პრორუსული პოლიტიკის გატარებაზე. ყველამ ვიცით, მათი მმართველობის პერიოდში რა სარგებელიც ნახა რუსეთმა ამიერკავკასიაში. მიუხედავად საქართველოს ბოლო 20-წლიანი ისტორიისა, ძნელად, გაჭირვებით, მაგრამ წინ-წინ მივიწევდით და დე ფაქტო ტერიტორიების აღიარება არ ხდებოდა, არ ხდებოდა მათზე ახალი ადმინისტრაციის მიერთება.

იხ. 8 გვ.

ფუფუნება ვის ხარჯზე?

ბას ულ კვირას ჩემი ყურადღება მიიპყრო პრესაში გამოქვეყნებულმა მასალამ, რომლის ავტორი ირაკლი ბარამიძე მკაცრად აკრიტიკებს პორტუგალიაში საქართველოს საელჩოს და ელჩს გოგა გორგილაძეს, ამასთანავე მოითხოვს მის „მოხსნას“, ვინაიდან არ იცავს ამ ქვეყანაში არსებული ქართული დიასპორის ინტერესებს.

ბარამიძის ნაამბობით, საელჩოს მძღოლს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფს, შელაპარაკება მოსვლია პოლიციელთან, რისთვისაც მძღოლისთვის 5 წელი მიუსჯიათ, შემდეგ გადაუწყვეტიათ მისი საქართველოში ექსტრადიცია, მაგრამ ვიდრე მას თვითმფრინავში ჩასვამდნენ, აეროპორტში თავი ჩამოუხრჩვია.

ბარამიძე აღშფოთებულია ელჩის გულგრილობით, რომელიც არცკი დაინტერესებულა ამ ამბით და ა.შ. ბარამიძის ბრალდების საპასუხოდ, დაიბეჭდა საელჩოს ინფორმაციაც, რომელიც კარდინალურად განსხვავდება ბრალდების წერილისგან. „კონკრეტული მძღოლი, რომელზეც ბარამიძე საგაზეთო ინტერვიუში საუბრობს, გახლავთ უჩა ანდრონიკაშვილი და არა გარდაცვლილი გ.გ. გარდაცვლილს არასდროს უმუშავია საელჩოში“, – წერს საელჩო.

ბრალმდებელ ბარამიძის მიხედვით, ელჩს თავზე ხელი უნდა გადაესვა მძღოლისთვის, რომელსაც სიმთვრალის გამო ლისაბონის პოლიციასთან შელაპარაკება მოუხდა. ჩემის აზრით, ელჩის გადაწყვეტილება მძღოლის გათავისუფლების თაობაზე სწორია და არავითარ კრიტიკას არ უნდა იწვევდეს, რამეთუ დიპლომატიაში მსგავსი ლაზღანდარობა მიუღებელია.

დიპლომატიაში ჩემი მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე, იშვიათად შევხვედრივარ უცხო ქვეყნის დიპლომატთა მხრიდან ჩხუბს, აყალმაყალს, მასპინძელი ქვეყნის ხელისუფალთა შეურაცხყოფას ან მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ გამოვლენილ უხეშ ქმედებას. გამონაკლისები ხდება, მაგრამ საწყენია, როდესაც ამ გამონაკლისებში ქართველი დიპლომატები ფიგურირებენ.

რომელი ერთი გავიხსენო – ის, ხომ არა, აშშ-ში, მთვრალმა ქართველმა დიპლომატმა ავტომანქანით რომ ადგილობრივი მოკლა; თუ ის, როდესაც ჩეხეთში ქართველი „დიპლომატები“ საცემრად გამოუდგნენ ტაქსის მძღოლს, რომელმაც თავს საპირფარეშოში ჩაკეტვით უშველა, თუ . . .

ის, რომ ქართველი „დიპლომატები“ ვერც დიპლომატიისა და ვერც პოლიტიკის ცოდნით ვერ ხიბლავენ ადგილსამყოფელ ქვეყნებს, ფაქტია. თუ რით „ხიბლავენ“ – ლაზღანდარობაა, ხშირად ლოთობა. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც თურქეთში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა კონსულმა, ტელეფონით დედა აგინა თურქეთის საგარეო უწყების დიპლომატს, რის შემდეგაც მას ამ ქვეყნის დატოვება მოუხდა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, მაგალითად რუსეთში, როდესაც ელჩი და საელჩოს თანამშრომლები, უცხოეთიდან, ვითომ საელჩოსთვის შემოტანილ განუბაჟებელ სპირტიან სასმელებს, მოსკოვის „გასტრონომებში“ აბარებდნენ გასაყიდად, რითაც უხვ ფულს შოულობდნენ. ამის შესახებ რუსული პრესაც წერდა (ვაი, ქართულ დიპლომატიას!).

იყო ისიც, თანაც იმავე მოსკოვში, როდესაც საელჩო, საელჩოს ავტომანქანებისთვის განკუთვნილ დიპლომატიურ ნომრებს რუსეთში „მოღვაწე“ ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს ურიგებდა. დიპლომატისნომრიანი ავტომანქანის გაჩერებას პოლიცია ერიდება, მაგრამ ერთხელაც გააჩერეს, რასაც რუსულ პრესაში საქართველოს მორიგი „გაშავება“ მოჰყვა.

რუსეთის საგარეო უწყება უკმაყოფილო იყო საქართველოს საელჩოთი იმითაც, რომ დიპლომატიურ თანამდებობებზე რუსეთის მოქალაქეები ირიცხებოდნენ. 2008 წლამდე, ვიდრე მოსკოვში საქართველოს საელჩო ფუნქციონირებდა, ქართულ დიპლომატიას რუსეთის საგარეო უწყებიდან საყვედური არ მოკლებია, სამწუხაროდ, დამსახურებული.

იყო სასაცილო გაუგებრობებიც, მაგალითად ისეთი, როდესაც მინისტრ ზურაბიშვილის ახირებით, ჩოხაში გამოწყობილი ელჩი ჩეჩელაშვილი პუტინისთვის რწმუნებათა სიგელის გადასაცემად დარბაზში არ შეუშვეს, ვინაიდან ხანჯალი ეკიდა. მაინც რა ბრიყვული ახირება იყო ქალბატონი მინისტრისა და თვით ელჩად გამწესებული ჩეჩელაშვილის ხანჯლით „წერწეტა“ ტანის დამშვენება? როდესაც თვითმფრინავში ჯაყვით არ უშვებენ მგზავრს, პრეზიდენტთან, ხანჯლიან ელჩს ვინ შეუშვებდა?

სალომე ზურაბიშვილის „ნოუ-ჰაუს“, ანუ დიპლომატებისთვის ჩოხის ჩაცმას, უმალ გამოეხმაურდნენ სამინისტროში მომუშავე „დიპლომატები“ (ცხადია „პატრიოტები“, ქართული სულით დამუხტულები) რა მაგარი გადაწყვეტილებააო, ამბობდნენ ისინი. მათ შორის გამოირჩეოდა ამჟამინდელი ელჩი ჟღენტი, რომელიც აქებდა დიპლომატიაში გაურკვეველ მინისტრს, „პატრიოტული მიგნებისთვის“.

ქართული დიპლომატიისთვის არც ის ყოფილა უცხო, როდესაც საელჩოს მამაკაცი დიპლომატი წიხლით უსწორდებოდა ქალ ელჩს ან ქალი ელჩი საყვარელ საელჩოს მძღოლს საელჩოს ავტომანქანას ჩუქნიდა, ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში მუშაობისას დიპლომატიურ „დარდებს“ კაზინოში თამაშით იქარვებდა. სხვაც ბევრი იყო და არის „საამაყო“ ქართულ დიპლომატიაში, მაგრამ მათზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა, ერთს მაინც აღვნიშნავ, სამინისტროს სტაჟიორობის მსურველთათვის უხვი თანხის შეწერას.

ყოველივე აღნიშნული ნათელი დასტურია იმისა, რომ ამ ორგანიზაციას სერიოზული დაავადება ჭირს, მაგრამ მკურნალი ექიმი არ ჩანს. და რომ არ ჩანს, უპირველესად ხელისუფლების ბრალია. მაგრამ თვით ხელისუფლებამაც რომ არ იცის, რა არის დიპლომატია – იჭმება თუ ისმება?

როდესაც მინისტრის ყოფილი მოადგილე ხმამაღლა იტყვის, რომ დიპლომატიას სწავლა არ სჭირდება, ქართველები „დაბადებული დიპლომატები“ ვართო, იმ ქვეყანაში, ამ დარგში რომ საქმე ცუდად იქნება, არ უნდა გაგიკვირდეთ.

დღიდან დამოუკიდებლად არსებობისა, საგარეო უწყებას მრავალი არასახარბიელო თავგადასავალი გადახდა. სამინისტროზე განსაკუთრებული შეტევა ზურაბიშვილის დროს განხორციელდა, რამაც კადრების თვალსაზრისით, ისედაც მწირი ორგანიზაცია, ნულამდე დაიყვანა. შედარებით გამოცდილი კადრები, ყოვლად დაუფიქრებლად დიპლომატიიდან გაუშვეს. მათ ნაცვლად დიპლომატია შეივსო უსწავლელი „კმარელი“ გოგო-ბიჭებით.

საგარეო უწყების ჩამოუყალიბებლობას უდავოდ ხელი შეუწყო დიპლომატიის ანბანში უცოდინარი მინისტრებისა და მათი მოადგილეების სისტემურმა ცვლამ. ყოველი ახალი ხელმძღვანელი წარმატებით ახორციელებდა ძველი კადრების ახლით ჩანაცვლებას, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო.

თუ საგარეო უწყების სუსტი მუშაობა ქვეყნის შიგნით უხილავია, ქვეყნის გარეთ - თვალშისაცემია, რამეთუ ადგილსამყოფელი ქვეყანა, როგორც წესი, მოჭარბებული ყურადღებით აკვირდება წარმდგენი (სტუმარი) ქვეყნის საელჩოს დიპლომატთა თუ ტექნიკურ მუშაკთა საქმიანობას, ქცევას, კულტურას და ა.შ.

დღევანდელ ქართულ „დიპლომატიაში“ მუშაკების უმრავლესობა შორს არის როგორც დიპლომატიური ანბანისგან, ისე მსოფლიო, განსაკუთრებით რეგიონის პოლიტიკისგან. მაგალითად - როდესაც მინისტრის პირველმა მოადგილემ არ იცის პრემიერ-მინისტრის სასაუბროში რა საკითხი შეიტანოს სომხეთში ვიზიტისთვის, როდესაც სომხეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის თემას – აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენას გვერდს უვლის, თავისთავად იბადება კითხვა – სხვა რა იცის?

როდესაც მინისტრის მოადგილე, ირანის საელჩოში, ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით სიტყვას ინგლისურად წარმოთქვამს, ხოლო ირანის ელჩი – ქართულ-სპარსულად, დიდი დიპლომატიური განსწავლულობა არ სჭირდება იმის გარკვევას, სად არის ქართული „დიპლომატია“.

ერთის შეხედვით, მოყვანილი მაგალითები თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ არა დიპლომატიისთვის. დღევანდელ ქართულ დიპლომატიას ისეთი „დიპლომატიური“ კორპუსი ჰყავს, რომელსაც ერთხელაც არ გადაუშლია წიგნი დიპლომატიის შესახებ. ან როდისღა უნდა გადაეშალა, ყმაწვილობიდანვე იმის ფიქრშია, როდის წავა საზღვარგარეთ სამუშაოდ.

რაც შეეხება წიგნის გადაშლას, ეს უნდა ხდებოდეს სპეციალურ დიპ-



ლომატიურ სასწავლებელში. სამწუხაროდ, საქართველოს ასეთი სახელმწიფო სასწავლებელი არა აქვს. კერძო – იცოცხლეთ, უამრავი და მდარე! არაერთხელ აღმინიშნავს, თუ რამე ესაჭიროება ამ ქვეყანას, უპირველესად სპეციალური დიპლომატიური სკოლაა, სადაც ერთ, ორ ან სამწლიან სწავლების კურსს უნდა გადიოდეს დიპლომატობის მსურველი უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა.

საქართველოში არსებობს პოლიციის აკადემია, სამხედრო სასწავლებელი, მაგრამ არ არსებობს დიპლომატიის. არადა, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, სხვა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა პირველი რაც გააკეთეს – დიპლომატიური სახელმწიფო სასწავლებლის დაარსება იყო. ჩვენ? ჩვენ, ამაშიც ჩამოვრჩით!

საქართველოს, თავისი მასშტაბებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დიდხანს არ ეყოლება ისეთი ჯარი, ქვეყნის ინტერესები რომ უცილობლად დაიცვას. ჩვენ ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, ვერაფრით შევაკავებთ ვერც თურქეთს, ვერც რუსეთს, ვერც ირანის ან უშუალო მეზობლების სამხედრო აგრესიას, რაც არ უნდა გვწვრთნან ნატომ და აშშ-ის სამხედრო სპეციალისტებმა.

ჩვენი ერთადერთი ხსნა დიპლომატიაში, მის განსწავლულობაში, მოხერხებულობაში, სიბრძნეშია. საქართველომ ნებისმიერი პაექრობა მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყვიტოს და არა ბრძოლის ველზე. ეს სულაც არ ნიშნავს სამხედრო საქმის უგულებელყოფას, მაგრამ მას თავისი ადგილი აქვს, დიპლომატიას – თავისი. დიპლომატიამ საქმე კონფრონტაციამდე არ უნდა მიიყვანოს. და თუ ეს მოხდება, – შეიძლება ითქვას, რომ დიპლომატიამ ვერ ივარგა.

სააკაშვილს ხშირად უყვარდა ქართული დიპლომატიის ქება, თუმცა, საქებარი ნამდვილად არ იყო. დიპლომატია, „შემოდგომით წიწილების დათვლას“ ჰგავს. თუ ამ კუთხით შევხედავთ მას, დავინახავთ არცთუ კონსტრუქციულ ურთიერთობებს მეზობლებთან, უპირველესად რუსეთთან, მონურ მორჩილებას ამერიკა-ევროკავშირთან, გაუთვითცნობიერებლობას ახლო აღმოსავლეთის და რეგიონის საკითხებში, დაკარგულ ტერიტორიებს და სხვა.

როდესაც, ბრიყვული დიპლომატიის წყალობით, საკუთარი ტერიტორიის 20%-ს დაკარგავ, დიპლომატიის წარმატებაზე არ უნდა ილაპარაკო.

ქართული „დიპლომატიის“ უჭკუობით ქვეყანა აშშ-ის დანამატადაა ქცეული. რა შეიძლება ეწოდოს ქვეყანას, რომელსაც ხმის ამოღებაც არ შეუძლია, საქართველოში აშშ-ის ელჩთან შეუთანხმელად? არშემდგარი!

საქართველო, რომ არშემდგარია, უპირველესად დიპლომატიის ბრალია.

ქართული „დიპლომატია“ თავისი უსუსურობით იმასაც ვერ ახერხებს, რეალური ინფორმაცია მიაწოდოს ხელისუფლებას რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ქართული „დიპლომატია“ თუთიყუშის როლში გვევლინება, რომლის მთავარი დანიშნულება, ხელისუფალთა მოსაზრების გახმოვანებაა.

მკითხველი შორი მაგალითებით ან, თუნდაც, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებით, ირანის მაგალითს მოვიყვან რომ არ გადავლალოთ, ირანმა, რეგიონის მძლავრმა, თითქმის 80-მილიონიანმა სახელმწიფომ, სურვილი გამოთქვა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე. სააკაშვილის ხელისუფლება დაეთანხმა მას, რამაც ასეულ-ათასობით დოლარევრო შესძინა ქვეყანას - უვიზო მიმოსვლით, ტურიზმით, ბიზნესით, სხვადასხვა დარგში თანამშრომლობით.

სამწუხაროდ, ამ აღმავლობას წერტილი ახალმა ხელისუფლებამ დაუსვა – ცალმხრივად გააუქმა ირანთან დადებული სავიზო ხელშეკრულება. რახანია ირანელებს აღარ აქვთ უფლება, უვიზოდ შემოვიდნენ საქართველოში. შემცირდა ტურიზმი. შემცირდა ბიზნესი. ირანელ ბიზნესმენებს ქართულ ბანკებში ფული გაუყინეს. საბანკო მომსახურების საშუალება არ მისცეს.

ქართულმა „დიპლომატიამ“ პირნათლად შეასრულა აშშ-ისა და ისრაელის დავალება. მაგრამ დასავლეთი ირანთან რომ აუმჯობესებს ურთიერთობებს? საქმეც ისაა, რომ ქართულმა „დიპლომატიამ“ არ იცის, რა ხდება ირან-„ექვსეულს“ შორის, რა ტენდენციები გაჩნდა ჟენევის ხელშეკრულების შემდეგ. არ იცის, თუ როგორ დაიძრა დასავლეთი ირანისკენ ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. და როცა გაიგებს, ძალიან, ძალიან გვიან იქნება.

ირანთან აუგი დამოკიდებულება უმადურობასაც ნიშნავს. ირანი ის ქვეყანაა, ვინც პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ირანი ის ქვეყანაა, ვინც არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრე -ოსეთის დამოუკიდებლობას, ირანი ის ქვეყანაა, ვინც ყოველთვის მხარს უჭერდა და უჭერს საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის გაეროში. ირანი ის ქვეყანაა, ვინც საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ უშვებს თავის ქვეყანაში. ირანი ის ქვეყანაა, ვისაც არ გაუკრიტიკებია საქართველო ცალმხრივად სავიზო ხელშეკრულების გაუქმებისთვის. ასეთ მეზობელთან არ ღირს ურთიერთობის გაუარესება.

უჭკუო დიპლომატიით ქვეყანა კარგავს მილიარდობით ირანულ ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში, სატრანსპორტო საქმეში და ა.შ. ირანი მზად არის, საქართველოს შავი ზღვის პორტების და რკინიგზის, აგრეთვე საავტომობილო გზების მეშვეობით დაიწყოს ტვირთების გადაზიდვა ირანში და ირანიდან. და ამ საქმისთვის ინვესტიციები განახორციელოს რკინიგზის განვითარებისათვის.

ირანი მზად არის, ინვესტიციები ჩადოს საქართველოს მეცხოველეობის განვითარებაში, ააშენოს ფერმები და პროდუქცია გაყიდოს საქართველოში, შეიტანოს ირანში. ირანი მზად არის საქართველოს ჰიდრორესურსების განვითარებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში დიდი ინვესტიციების ჩასადებად. ირანს უხვად აქვს საკუთარი ელექტროენერგია, უფრო მეტიც, მას ექსპორტზე გააქვს ის მეზობელ ქვეყნებში. ირანს შეუძლია, გაყიდოს საქართველოში წარმოებული ელექტროენერგია და ამით დიდი ფული შესძინოს საქართველოს ბიუჯეტს.

ირანს შეუძლია, საქართველოს მიაწოდოს გაზი და ნავთობი, გაიყვანოს მილსადენები და ააშენოს თხევადი გაზის ქარხნები. ირანს შეუძლია, საქართველოსთან ითანამშრომლოს მედიცინის დარგში. ირანი ამ თვალსაზრისით ცნობილია რეგიონში.

ირან-დასავლეთის ურთიერთობების დათბობას უდავოდ მოჰყვება აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში მილიონობით ირანელის ინტერესი საკუთარი სამშობლოსადმი, რაც კაპიტალის დაბანდებითაც აღინიშნება. ირანი ისეთი ოქროს საბადოა, რომლის გამოუყენებლობა საქართველოსთვის გაუმართლებელი იქნება.

ის, რომ ირანთან ურთიერთობა ესოდენ მომგებიანი შეიძლება იყოს საქართველოსთვის, სწორედ დიპლომატიამ უნდა განჭვრიტოს. დიპლომატიას სიღრმისეულად უნდა ჰქონდეს შესწავლილი ირანთან ურთიერთობის შედეგად აღმოცენებული სიკეთეები და არა მარტო ირანთან, სხვა მეზობელ ქვეყნებთან.

ქართული დიპლომატია შორს არის ასეთი სიღრმისეული შესწავლიდან. მას არც რეგიონი აინტერესებს და არც სხვა რამ. რაც მას აინტერესებს - აშშ-ის დირექტივები და საზღვარგარეთის ქვეყნებში საელჩოების გახსნაა. მსოფლიოში არ მოიძებნება საქართველოს ზომის ქვეყანა, რომელსაც საქართველოს რაოდენობის საელჩო ჰქონდეს გახსნილი. 65 ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციაშია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა. თითოეული მათგანის (ზოგიერთი იშვიათის გამოკლებით) მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია.

საინტერესოა, რა დიპლომატიურ-პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია პორტუგალიაში საქართველოს საელჩო? და არა მარტო პორტუგალიაში, არამედ ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში. რაში არგია ქვეყანას იმ ქვეყნებში „მომუშავე“ საქართველოს საელჩოები? არც არაფერში, გარდა ერთისა – იმ მხარეში ეგზოტიკური მოგზაურობის სურვილით შეპყრობილი ხელისუფლების წარმომადგენლების (ასეთები კი უხვად არიან) მომსახურება – აეროპორტში დახვედრა-გაცილება, მათი ჩემოდნების ტარება, ექსკურსიების მოწყობა და ა.შ. ამაში იხარჯება ისედაც გაღატაკებული საქართველოს მოქალაქეთა ფული.

ცნობისთვის მოგახსენებთ – საზღვარგარეთ საქართველოს ელჩის საშუალო ხელფასი 5000 აშშ დოლარია. და თუ ამას დავუმატებთ საელჩოს დიპლომატიური და ტექნიკური პერსონალის ხელფასებს, საცხოვრებელი ბინების დაქირავების ხარჯებს, თვით საელჩოს შენობის დაქირავების ხარჯს – ღატაკი ქვეყნისთვის, ერთობ უხვ თანხას მივიღებთ.

ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ ქართული დიპლომატიის „გამჭრიახობით“ საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში სიმწრით შეძენილი საელჩოსა და საკონსულო დაწესებულების შენობები გაიყიდა, ნაცვლად ამისა, მიიღეს შენობების დაქირავების გადაწყვეტილება, რაც საბოლოოდ მძიმე ტვირთად აწვება საქართველოს ისედაც გაღლეტილ ბიუჯეტს.

მიუკიბ-მოუკიბავად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არ სჭირდება ამდენი საელჩო. უნდა აღდგეს დიპლომატიაში არსებული პრაქტიკა – ერთ ქვეყანაში მყოფი ელჩის მიერ მეზობელ ქვეყანაში ელჩობის შეთავსება. მაგალითად, საფრანგეთში საქართველოს ელჩი შეიძლება იყოს ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში ელჩი. ასეთ დროს, საელჩო არის ერთ ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში ელჩი ერთკვირიანი ვიზიტით ჩადის (წლის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ).

ეს მაგალითი არც საქართველოს დიპლომატიისთვის არის უცხო. საქართველოს არც დიპლომატიური კადრები ჰყავს და არც ფული აქვს, რომ მრავალ ქვეყანაში ელჩი ჰყავდეს.

დღევანდელი საქართველო და მისი დიპლომატია უფრო ფასადურია, ვიდრე საქმიანი. ქვეყანა თამაშობს ქვეყნობას, მისი დიპლომატია, დიპლომატობას და ამ თამაშში თვალშისაცემია ფასადურობა. თუმცა, ეს ფასადიც ისეთივე შეუხედავია, როგორც შინაარსი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

როცა მარცხენა ხელმა მუშვენივრად იცის, რასაც იქმს მარჯვენა,



ანუ გზა, რომელსაც ხელისუფლება უთუოდ უნდა დაადგეს

ნიჭიერი ადამიანები ხშირად სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ სფეროებში წარმატებას რომ აღწევენ, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია და, ამდენად, დიდად არც არავის უკვირს. მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი წარმატებული ხალხი, ვთქვათ, ცნობილი სპორტსმენები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები და სხვ. პოლიტიკაში მიდიან. ამ მხრივ, ცხადია, სულაც არაა გასაკვირი, როცა პოლიტიკურ მოღვაწეობას საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მეწარმეები იწყებენ. თუმცა კი აქ ერთ, მეტად ცბიერ გარემოებასთან გვაქვს საქმე: დიდ ბიზნესშიც და დიდ პოლიტიკაშიც დიდი ფული ტრიალებს და უფრო დიდი ფულის გასაკეთებლადაც დიდი შესაძლებლობებია, მაშასადამე, კორუფციულ ურთიერთობათა გაბმის, ფაქტობრივად, უკიდეგანო სივრცე იშლება. მით უმეტეს მაშინ, როცა ეს, თვალის ერთი გადავლებით, მოუწესრიგებელი, ეგრეთ წოდებული „ბროუნის მოძრაობა“, სინამდვილეში მშვენივრად ორგანიზებულია და ორმხრივადაა მიმართული. როგორც ცნობილი ამერიკელი მწერალი ფრენკ ჰერბერტი თავის გახმაურებულ რომან „დიუნაში“ წერს, „კორუფცია აურაცხელი სახის ნილაბს ატარებს“. ამ ნიღბებიდან ერთ-ერთს განიხილავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ახალი გამოკვლევა „მთავრობასა და ბიზნესს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობა და ამ პროცესთან დაკავშირებული კორუფციის საფრთხეები“. მასში, კერძოდ, ეგრეთ წოდებული „მბრუნავი კარის“ პრინციპია გაანალიზებული.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გამოკვლევა „მბრუნავი კარის“ პრობლემის კომპლექსური კვლევის პირველი ცდაა საქართველოში. გამოკვლევის ავტორები საგანგებოდ ხაზს უსვამენ ისედაც საყოველთაოდ ცნობილ ამბავს — **კადრების მოძრაობა ბიზნესიდან საჯარო სექტორში და, პირიქით, სავსებით ბუნებრივი პროცესია და ამაში გასაკვირი არაფერია.** აქედან გამომდინარე, პროცესის რეგულირების მიზანი მისი აღკვეთა კი არ არის, არამედ მასთან დაკავშირებული კორუფციის საფრთხეების მინიმუმამდე შემცირებაა პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით.

„მბრუნავი კარის“ პროცესი პრობლემად მაშინ იქცევა ხოლმე, როცა **ბიზნესიდან სახელმწიფო თანამდებობაზე მისული პირები თავიანთ გარკვეულწილად (ხშირად საკმაოდ დიდადაც!) პრივილეგებულ მდგომარეობას კონკრეტული (ხშირად სხვაზე გადაფორმებული, ასევე საკუთარი)კომპანიების სასარგებლოდ იყენებენ. ასე ხდება მაშინაც, როცა სახელმწიფო სამსახურიდან ბიზნესში წასული ყოფილი თანამდებობის პირები ხელისუფლებაში შენარჩუნებული პირადი კონტაქტებისა და გავლენის წყალობით საპროტექციო კომპანიებს ბაზარზე არაკანონიერ, ხშირად სრულიად უსამართლო უპირატესობის მოპოვებაში ეხმარებიან.**

უნდა ითქვას, რომ **საქართველოს ხელისუფლებას და კერძო სექტორს შორის თანამდებობისა და ბიზნესის მეთაურთა ორმხრივი მოძრაობა დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს.** საქართველოს პარლამენტის დეპუტატი არაერთი დიდი ბიზნესმენია, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბიზნესთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული მრავალი პირია. არსებითად, **ასეთივე ვითარებაა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ მარეგულირებულ სტრუქტურებშიც.**

გამოკვლევაში, კერძოდ, მითითებულია, რომ 2012 წელს პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით არჩეულმა მსხვილმა ბიზნესმენებმა დ.ბეჟუაშვილმა, გ.ენუქიძემ და კ.ოქრიაშვილმა ყოფილი მმართველი პარტია ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ დატოვეს, რაც ნაცმოძრაობაში მათ წევრობასთან დაკავშირებით სავსებით საფუძვლიან ეჭვს ბადებს.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ბოლო წლებში თანამდებობის პირებთან დაკავშირებულმა ზოგიერთმა კომპანიამ სახელმწიფოსთან ურთიერთობით ძალიან დიდი სარგებელი მიიღო, რის თაობაზე ჩვენი გაზეთი ცოტა ხნის წინათაც წერდა. სარგებლის მიღების წყარო რამდენიმეა, კერძოდ, **სახელმწიფო შესყიდვებზე პირდაპირი კონტრაქტები, საგადასახადო შეღავათები, ექსკლუზიური ლიცენზიები და უფლებები, კონკრეტულ მეწარმე სუბიექტებზე მორგებული კანონმდებლობა და მათ მიმართ სამართალდამცავ უწყებათა ლმობიერი დამოკიდებულება. თანაც, ზოგიერთმა თანამდებობის პირმა ბაზრის სწორედ იმ სექტორში გადაინაცვლა, რომლის ზედამხედველობაც თანამდებობაზე ყოფნისას მისი მოვალეობა იყო. ვფიქრობთ, არ არის საჭირო დიდი გამჭრიახობა იმის მისახვედრად, რომ სახელმწიფო თანამდებობა მავანთათვის მხოლოდ შემდგომში თბილ ადგილზე მოყუჩების სტრატეგიული მანევრი იყო.**

„მბრუნავი კარის“ ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოს პარლამენტის ყოფილ და მოქმედ წევრებთან, მათ შორის, კ. კვირაიასთან, ა. გეგენავასთან, თ. კოხოძესა და გ. ენუქიძესთან დაკავშირებულმა კომპანიებმა მილიონობით ლარი მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების გზით (უმთავრესად, ტენდერების გვერდის ავლით, პირდაპირი კონტრაქტების საფუძველზე განხორციელებული შესყიდვებით). სამართალდამცავმა უწყებებმა არ გამოიძიეს პარლამენტის წევრების რ. კერვალიშვილისა და დ. ბეჟუაშვილის სახელებთან დაკავშირებული კომპანიების მიერ იმდროინდელი სავარაუდო სამართალდარღვევები, როცა ისინი საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იყვნენ.

„არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ 2012 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც კომპანიებს გარემოსადმი მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების საშუალებას აძლევს, დეპუტატ კ. ნაყოფიასთან დაკავშირებული კომპანიების ინტერესებზე იყო მორგებული. თავდაცვის ყოფილ მინისტრ დ. კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიები, 2012 წლამდე, პრაქტიკულად, მთლიანად აკონტროლებდნენ საქართველოს სატელევიზიო რეკლამის ბაზარს. გარდა ამისა, კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიები ფლობდნენ თბილისში გარე რეკლამის განთავავსების ექსკლუზიურ უფლებებსა და ეროვნული ლატარიის ლიცენზიას. ტელეკომპანია „იმედმა“ ორჯერ ისარგებლა საგადასახადო ამნისტიით იმ პერიოდში, როდესაც მისი დირექტორი და თანამფლობელი ეკონომიკის მინისტრი გ. არველაძე იყო“, — ამ კონკრეტული ფაქტების ჩამოთვლით გამოკვლევის ავტორები პირდაპირ მიუთითებენ, რომ „სამართლის ურემი“ ჭრიალით კი ჭრიალებს, მაგრამ წინსვლა, რაოდენ დასანანიც უნდა იყოს, არა და არ ჩანს. ასევე აღნიშნავენ, რომ თანამდებობის პირებზე კერძო ბიზნესინტერესების გავლენა სერიოზული პრობლემაა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებშიც, რის კონკრეტული მაგალითებიცაა მოყვანილი. კერძოდ, ნახსენებია **თბილისის მერიის მაღალი თანამდებობების პირებთან დაკავშირებული კომპანია „გრინსერვისი“, რომელმაც ამის წყალობით დედაქალაქის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი მიიღო, საკრებულოს წევრ ა. ნიკოლაიშვილთან დაკავშირებული კომპანია „ჯეო გოლდი“, რომელსაც თბილისში მუშტაიდის პარკი საკუთრებაში 49 წლის ვადით ყოველგვარი კონკურსის გარეშე გადაეცა, კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს ი. ჩიქოვანს კომერციული ინტერესები იმ სექტორში ჰქონდა, რომლის ზედამხედველობა თანამდებობრივად ეკუთვნოდა, თუმცა, ამ მხრივ გამორჩეული მაინც ენერგეტიკის სამინისტრო იყო, რომლის ხელმძღვანელობას წინა ხელისუფლების დროს სექტორში მოქმედ რამდენიმე კომპანიასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა. კერძოდ, მინისტრის მოადგილე მ. ვალიშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე 2008 წლიდან მუშაობდა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2011 წლიდან პარალელურად შპს „ტოტ ენერჯის“ დირექტორიც იყო, რაც კანონის უხეში დარღვევაა.**

საქართველოს კანონმდებლობაში საკმაოდ სერიოზული მექანიზმებია ჩადებული „მბრუნავი კარის“ პრობლემასთან დაკავშირებულ კანონდარღვევათა პრევენციისთვის, მაგრამ სამართალდაცვითი მოქმედებები ან საერთოდ არ ხორციელდება, ან უაღრესად არაეფექტიანია. ეფექტიანი მონიტორინგის შედეგად ამ ტიპის კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაშიც კი ამას სამართალდამცველთა შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. არადა, მხოლოდ სათანადო კვალიფიციური გამოძიების შედეგადაა შესაძლებელი იმის დადგენა, იყო თუ არა კორუფციის ფაქტები თუნდაც ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში. აქედან გამომდინარე, კვლევის ავტორთა აზრით, **„ერთი მხრივ, საჭიროა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორება, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკულად აღსრულების უზრუნველყოფა და იმის განსაზღვრა, თუ რომელმა სამართალდამცველმა უწყებამ იკისროს ამის პასუხისმგებლობა; გარდა ამისა, საჭიროა იმ პირთა წრის გაფართოება, ვისაც ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა მოეთხოვება, საჯარო სამსახურის ბიურომ კი დეკლარაციებში მოცემული ინფორმაციის გადამოწმების სისტემა უნდა შექმნას; ასევე საჭიროა ყოფილ თანამდებობის პირთა საქმიანობის მონიტორინგი თანამდებობიდან მათი წასვლის შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე; დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებსა და იმ სექტორის კომპანიებს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობაზე, რომელთა საქმიანობის რეგულირება მათ ევალებათ, უნდა დაწესდეს შეზღუდვები; იმ სახელმწიფო უწყებების გაძლიერება (კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, კონკურენციის სააგენტოს), რომლებსაც საჯარო და კერძო სექტორების ურთიერთობებისას კორუფციის საკითხის შემცირება შეუძლიათ და, აგრეთვე, სუბიექტური გადაწყვეტილებების შესაძლებლობების შემცირება იმ სფეროებში, სადაც მთავრობა და ბიზნესი ურთიერთობს“.**

ესაა და ეს. სათქმელად, თვალის ერთი გადავლებით, არც მაინცდამაინც ძნელია, თუმცა კი, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუკი სახელმწიფოს ელიტური კორუფციის მინიმუმამდე შემცირება სურს, აუცილებლად ამ გზას უნდა დაადგეს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ თაღლითები

შსს-მ საერთაშორისო კიბერდანაშაული გახსნა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეხუთე მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა , ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, საქართველოს ორი მოქალაქე - 1975 წელს დაბადებული დიმიტრი წ. და 1966 წელს დაბადებული ზვიად წ. ყალბი პლასტიკური ბარათების გამოყენებით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ანგარიშებიდან თანხის დაუფლების ბრალდებით დააკავეს, ხოლო უკრაინის რესპუბლიკის ექვსი მოქალაქე — იური ხ, სერგი ტ, სტანისლავ დ, კონსტანტინ კ, რუსლან მ. და ვიქტორ რ. ამავე დანაშაულში ამხილეს.

სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დიმიტრი წ.-ს უკრაინის მოქალაქე იური ხ. დაუკავშირდა, რომელმაც მის და მისი ხუთი თანამზრახველის, ასევე, უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეების სახელზე დამზადებული 47 ყალბი საკრედიტო ბარათი გადასცა და აუხსნა, რომ აღნიშნულ საკრედიტო ბარათებზე დატანილი იყო ე.წ. ჰაკერული გზით, უკანონოდ მოპოვებული ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების საბანკო მონაცემებით. იური ხ-მ დიმიტრი წ-ს გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, საქართველოში არსებული ბანკების გამოყენებით, აღნიშნული ყალბი საკრედიტო ბარათებიდან თანხების მოხსნა შესთავაზა, რის შემდეგ დიმიტრი წ.-ს თანხები უკრაინის რესპუბლიკაში იური ხ.-სა და მისი თანამზრახველებისთვის უნდა გაეგზავნა, რასაც დიმიტრი წ. დასთანხმდა. მან აღნიშნული სქემა თავის ძმას — ზვიად წ-ს გააცნო, რომელიც თაღლითური გეგმის განხორციელებაში ჩაერთო.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ თანხები ე.წ. ჰაკერული გზით, უკანონოდ მოიხსნა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ბანკის 1137 პლასტიკური ვიზა ბარათიდან და ინტერნეტ-გადახდის საშუალებით ინტერნეტ-კაზინოს 45 მომხმარებელს ჩაერიცხა. შემდეგ, აღნიშნული თანხები ინტერნეტ-კაზინოს სხვა 11 მომხმარებლის ანგარიშებზე გადანაწილდა. იქიდან კი ფულის გადარიცხვა სხვადასხვა ბანკის ანგარიშებსა და საერთაშორისო ელექტრონულ ანგარიშებზე განხორციელდა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა აღნიშნული სქემით დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ბანკის მომხმარებლების ანგარიშებიდან 267 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა მიითვისეს. დიმიტრი წ-მ და ზვიად წ-მ პლასტიკურ ბარათებზე ჩარიცხული თანხები საქართველოს სხვადასხვა ბანკის საშუალებით რამდენჯერმე გაანაღდეს. დაკავებულებმა, ყალბი საკრედიტო ბარათების გამოყენებით, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების აგარიშებიდან უკანონოდ სულ 110 000 ლარის ოდენობის თანხა გაანაღდეს.

სამართალდამცველებმა დიმიტრი წ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად 60 პლასტიკური ბარათი ამოიღეს. ბარათები უკრაინელი მოქალაქეების სახელზე არის დარეგისტრირებული და ბრიტანელი მოქალაქეების უკანონოდ მოპოვებულ მონაცემებს შეიცავს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ორი გვამი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისათვის

ახალი სკანდალური ვიდეო, რომელშიც ჩანს თუ როგორ უკვეთავს ორ მკვლელობას საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და „რკინის კაცი“ ვანო მერაბიშვილი 2009 წლის მუხროვანის სამხედრო ბუნტის დროს, ამ ამიერკავკასიის რესპუბლიკაში კანონის უზენაესობის პრობლემების ირგვლივ აღშფოთების ახალი ტალღის მიზეზი გახდა.

„ორი გვამი მჭირდება. მომიტანეთ ორი გვამი. პრემია დიდია“, — ეუბნება მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი სამხედრო ოფიცრებს შენობის გარეთ მიმდინარე შეკრებაზე მუხროვანში, სატანკო ბატალიონის ბაზაზე, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისთან ახლოს მდებარეობს. იმ დროისთვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაცია ამტკიცებდა, რომ ბუნტი მოსკოვის ორგანიზებული იყო.

იგივე ვიდეოში, რამდენიმე კადრის შემდეგ, სავარაუდოდ ბაზაზე, შენობის გარეთ ჩნდებიან სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვის წევრები — იმ დროს უსაფრთხოების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და თბილისის მერი გიგი უგულავა. **„სად არის ვანო?“,** კითხულობს სააკაშვილი, რომელიც ჯერ საათს დახედავს, შემდეგ კი გარშემო იხედება. „ვანო, რა ვქნათ?“, ეკითხება ის ვიდეოს ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც ამ დროს კადრში არ ჩანს.

30 იანვარს, სასამართლო სხდომაზე, რომელიც მერაბიშვილის წინააღმდეგ სხვა საქმეზე მიმდინარეობს, ყოფილმა მინისტრმა აღიარა, რომ **მკვლელობის ბრძანება გასცა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ „ორ გვამში“ ის „ორ რუს მრჩეველს“ გულისხმობდა, რომლებიც, მისი თქმით, აჯანყებაში „მონაწილეობდნენ“, იუწყებოდნენ მედიასაშუალებები. „არ მრცხვენია, რომ ასეთი რამ ვთქვი“,** — განაცხადა მან. — **„პირიქით, ეს იყო ჩემი მოვალეობა...“**

ეს ორი სავარაუდო რუსი მრჩეველი მანამდე არასდროს არავის უხსენებია. მერაბიშვილი ამტკიცებდა, რომ ეს ორი ადამიანი ბუნტის ორგანიზატორებმა მოკლეს (გაურკვეველი მიზეზებით).

მას არც ის განუმარტავს, თუ რატომ იღებდნენ ის ან „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ჩინოვნიკები ასეთი დაჟინებით კამერით ყველაფერს, რასაც აკეთებდნენ ან აცხადებდნენ, უტოვებდნენ რა ამით პოლიტიკურ შთამომავლობას დიდ შესაძლებლობებს ასეთი კომენტარების მათ წინააღმდეგ გამოყენებისათვის.

მოვლენათა 2009 წლის ვერსიის თანახმად, მოგვიანებით, ბუნტის შესაძლო ორგანიზატორების ძებნის დროს, პოლიციასთან შეტაკებისას ყოფილი სამხედრო მეთაური გია კრიალაშვილი მოკლეს. სამი სამხედრო მეთაური სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით გაასამართლეს, სხვები კი დამნაშავედ ცნეს სხვადასხვა დანაშაულში მთელ რიგ სასამართლო პროცესებზე, რომელმაც უფლებადამცველ ჯგუფებს ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დაუტოვა.

მთავარი პროკურატურის ოფისმა განაცხადა, რომ მერაბიშვილის ჩანაწერს იძიებს. ის, თუ ვინ შექმნა ეს ჩანაწერი, საჯაროდ უცნობია.

ამ ვიდეოს გამოჩენის დრო (არ აქვს მნიშვნელობა, ვინაა მისი ავტორი) მაინც აჩენს ვარაუდს, რომ ის მერაბიშვილზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მცდელობაა მას შემდეგ, რაც ყოფილმა მინისტრმა ცოტა ხნის წინათ დაიბრუნა საზოგადოების ერთგვარი პოზიტიური განწყობა თავისი განცხადებებით პოლიტიკური შურისძიების შესახებ მმართველი „ქართული ოცნების“ მხრიდან.

დასავლელი ჩინოვნიკები ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას ექსმინისტრის გაჭიანურებული პატიმრობის გამო. ისინი წუხან, რომ ეს ფაქტი პოტენციური ინდიკატორია იმისა, რომ „ქართული ოცნება“ შურს იძიებს საკაშვილის პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“, რომლის გენერალური მდივანიც მერაბიშვილია.

ახლახან, მერაბიშვილმა განაცხადა, რომ პროკურორები მას ემუქრებოდნენ და ამის დასამტკიცებლად საკუთარ საკანში არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერის გამოქვეყნება მოითხოვა. შიდა მოკვლევის შემდეგ, რომელსაც უფლებადამცველები აკრიტიკებდნენ, როგორც არადამაჯერებელს, პენიტენციარული სისტემის ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ მერაბიშვილის ბრალდებები ცრუა და ვიდეოჩანაწერები, რომლის გამოქვეყნებასაც ის ითხოვდა, წაშლილია.

სამაგიეროდ, მუხროვანის ვიდეომ მთელი ინტერნეტსივრცე მოიცვა. მაკომპრომეტირებელი ვიდეოების გამოყენება აპრობირებული პოლიტიკური იარაღია როგორც „ქართული ოცნების“, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვისაც“, რომელიც პოლიტიკური წნეხის მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე გრძნობს. გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა.

გიორგი ლომსაძე

EURASIANET.ORG

◎ პიროვნული სინქრონიზაცია

ვანო სულ გამოპენტერდა!

(მეხუთე გვერდიდან) 33 სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი „ნაციონალური ხელისუფლების“ მართვის პერიოდში გასხვისებულია რუსულ კომპანიებზე. შეიძლება ერთი მხრივ აგინო, მაგრამ აკეთო მისი ინტერესის გამტარი ქმედებები?.. ეს ყველაფერი არის საფუძველი იმისა, რომ ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება. როდესაც ვსაუბრობთ დასავლეთის მხარდაჭერაზე, ამ დროს მათი ნაჩუქარი შეიარაღება 2008 წელს უსასყიდლოდ გადაბარებული იქნა რუსეთისთვის. ეს კიდევ გაცილებით მეტ კითხვებს აჩენს.

— ბატონო კობა, მუხროვანში იყო თუ არა რეალურად ამბოხი?

— მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მათი კონტროლის ქვეშ იყო, შეცვალა ბრალდების პოზიცია და ამბოხი გადაკვალიფიცირდა დაუმორჩილებლობაში. ამბოხის ნიშნები გამოიხატება შეიარაღებული ჯგუფის ორგანიზებულ ქმედებაში, სახელმწიფო ობიექტების დაკავებაში, მაღალი რანგის პირების დატყვევებაში და მასიური არეულობის მცდელობაში, ხოლო ასეთი რამ იქ არ იყო. შეიძლება იყო გარკვეული გადაცდომის ფაქტები.

ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები ბაზიდან გამოდიან, ესაუბრებიან შს მინისტრს და ისევ ბრუნდებიან ბაზაში. სადაა აქ თავდაცვის მინისტრის პოზიცია, იმ განცხადების გარდა, რომ ბაზაზე არ შეუშვეს? რატომ იყო თავდაცვის მინისტრი ბაზის გარე პერიმეტრზე, ხოლო შს მინისტრი და სხვა მაღალჩინოსნები ბაზის ტერიტორიაზე და რატომ გასცემდნენ განკარგულებას?

თავდაცვის მინისტრი რომ არ შეუშვეს ბაზაზე, ეს არის გენერალური შტაბის პრობლემა. სამხედრო ბაზაზე ზუსტად ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ასევე იყვნენ ბიზნესში და პოლიტიკაშიც იგივე სახეები ტრიალებდნენ, ნატოშიც იგივე სახეები შედიოდნენ თავისი აზრებით, საზოგადოებასაც იგივე სახეები მართავდნენ, ომსაც იგივე სახეები იწყებდნენ და იგივე სახეები ამთავრებდნენ, მათ შორის — სპეცოპერაციებსაც.

ის, რაც ჩვენ ვნახეთ, ეს იყო ბრბოს ისტერია და პირდაპირი მითითება იმაზე, თუ რა შედეგს ითხოვდნენ მათგან. კუდი ვინც საიდან არ უნდა მიაბას, ფაქტი იყო ერთი, სხვადასხვა უწყების და ფენების თავშეყრის ადგილი გახდა მუხროვანის ტერიტორია იმ მომენტში, რომელსაც თავზე ედგა ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი. თბილისის საპატრულოს უფროსს შეიძლება ევალებოდა გარე პერიმეტრის უზრუნველყოფა, ისიც განკარგულებიდან გამომდინარე, მაგრამ საპატრულოს უფროსის სრული ეკიპირებით იქ დგომა იყო წარმოუდგენელი და დაუშვებელი.

— ბატონო კობა არსებობდა ინფორმაცია, რომ ეს სპეცოპერაცია გაცილებით ადრე იყო დაგეგმილი, ანუ ჯერ კიდევ იანვრის თვიდან დაიწყო ე.წ. „ამბოხის“ დაგეგმვა ხელისუფლებამ. გაქვთ ეს ინფორმაცია?

— სპეცოპერაცია მზადდებოდა იანვრის თვიდან. ხელისუფლება აწარმოებდა ოფიცრების ჩაწერას, თვალთვალს. ეს ქმედება შეიცავდა დანაშაულის წახალისების მომენტებს. რაც იქ დავინახეთ, ეს არის ისტერია და ქაოსი, მეტი არაფერი. ახლა გვამადლიან, თურმე, სახელმწიფომ იზრუნა იმაზე, რომ ერთი გარდაიცვალა და ორი დაიჭრაო. რეალობა კი ისაა, რომ მათი ხელით სამივე იყო გარდაცვლილი. უბრალოდ, ღმერთის მადლით გადარჩა ამირიძე და ოთანაძე. 12 ტყვია ერთს აქვს მოხვედრილი და 9 მეორეს, და ესენი ამბობენ, რომ სახელმწიფომ იზრუნა მათზე, რომ არ გარდაცვლილიყვნენ?!

— ბატონი ნაირაშვილი, რომელიც დიდ ბრალდებულია, ამბობს, რომ ეს იყო ამბოხება...

— ელემენტალურად, როდესაც ურთიერთობა გაქვს შენი ქვეყნის მოქალაქეებთან, როგორ დანაშაულშიც არ უნდა იყვნენ ისინი ეჭვმიტანილი, შენ ვერ გადაწყვეტ ისინი დამნაშავეები არიან თუ არა. ეს არის სასამართლოს პრეროგატივა. ჩვენ ხომ ამ ღირებულების სახელმწიფოს შენებისკენ მივდივართ?! მით უმეტეს, არ გაქვს უფლება, ბოროტად გამოიყენო შენი თანამდებობრივი პოზიცია და მოითხოვო, თუნდაც ეჭვმიტანილების „გვამებად“ შენთან მოტანა. როდესაც შენ ხარ უმაღლესი რანგის თანამდებობის პირი, ელემენტარულად აღნიშნულ მოთხოვნას უკმაყოფილებით უნდა აღუდგე. შენ ეს გამძაფრებულად უნდა გესმოდეს, იმიტომ, რომ ხარ სიმართლის მსახური.

— კადრების გავრცელების შემდეგ საუბარია მხოლოდ მერაბიშვილის პასუხისმგებლობაზე, მაგრამ არავინ ამბობს იქ მყოფი პირების პასუხისმგებლობაზე. მაგალითად გიგი უგულავა, რომელიც ვერ იხსენებს იქ როგორ აღმოჩნდა. დათა ახალაია, ლევან ქარდავა, გია (მასტერა) დგებუაძე, გიორგი გეგეჭკორი, ამათი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?

— იქ იყო ნაკრები იმ ხროვის, რომელიც სხვადასხვა სისხლიან გარჩევებში მონაწილეობდა. იქ იყო შემსრულებელთა ის შემადგენლობა, რომელიც უკან არაფერზე არ დაიხევდა. ამ შემადგენლობამ მიიღო პირდაპირი მითითება, რომ მიუტანონ ორი გვამი, ეს არის ფაქტი. იმედია, გამოძიება იტყვის თავის სიტყვას.

თამთა ძარჩავა

დედამიწის ზურგზე

„ევრომაიდანი SOS“: უკრაინაში პროტესტის 36 აქტივისტი დაიკარგა

სიაში, რომელსაც სამართლის დაცვის ჯგუფი სოციალურ ქსელში აქვეყნებს, 17-წლისანები არიან. ადამიანთა გატაცებაში მონაწილეობის მიღების ბრალს ოპოზიცია მილიციას სდებს, იგი კი ყოველივეს უარყოფს, აცხადებს პროვოკაციების შესახებ. ამ დროს დაპატიმრებულია ფეხბურთის 23 ბელარუსელი ფანატი, რომლებიც საჯაროდ უჭერდნენ მხარს „ევრომაიდანს“. ისინი „გამოიანგარიშეს“ მიუხედავად იმისა, რომ სახეები ფოტოებზე წაშლილია ტუშით.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ორი ხომალდი „ზღვის კატებით“ შევიდა შავ ზღვაში და, შესაძლებელია, მოძრაობენ უკრაინისკენ

ადრე პენტაგონი აცხადებდა, რომ ორი სამხედრო ხომალდი შავ ზღვაში იქნებიან რუსეთისთვის დახმარების გასაწევად სოჭში ექსტრემალური სიტუაციების შემთხვევაში. გავრცელდა მოსაზრება, რომ ისინი მოძრაობენ უკრაინის სანაპიროსკენ, აღნიშნავენ რუსი წყაროები.

უკრაინას ევროკავშირში წევრობის პერსპექტივა შესთავაზეს

ცხადია, არ არის შესაძლებლობა დააკრედიტონ უკრაინა, როგორც ეს მას დაპირდა რუსეთი (15 მილიარდი დოლარის თანხით), ევროპაში მოიფიქრეს ალტერნატიული წინადადება იმის მცდელობით, რომ გაზარდონ დასავლური კურსის მიმზიდველობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ინიციატივას მხარს უჭერენ. უფრო მეტიც, სახელმწიფო დეპარტამენტი მზადაა უფრო სერიოზული ეკონომიკური დახმარებისთვისაც — თუ ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვა.

ინგლისში ბოცვრებმა ორმოს თხრის დროს უძველესი „საგანძური“ აღმოაჩინეს

ნეოლითის ეპოქის საგნები, რომლებიც სულ ცოტა რვა ათასი წლისაა, ამოთხარეს პატარა ცხოველებმა კორნუოლის საგრაფოში. „ბოცვრების ოჯახმა ისტორიის სახელმძღვანელო ხელახლა გადაწერა“, — ნახევრად ხუმრობით — ნახევრად სერიოზულად შეაფასეს ეს აღმოჩენა მეცნიერებმა. იმის შანსი, რომ ასეთი რამ მოხდეს, არის ერთი — მილიონ შემთხვევაში, ამბობენ მეცნიერები.

„მხედრიონი“ – ბოროტების მხედრობა

სოლიკო ხაბეიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღაშფოთებდა შეთქმულთ. იგი სახელმწიფოს მეთაურის კურსის მტკიცე მხარდამჭერი და გამტარებელი იყო. სწორედ იმხანად მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში იუნესკოს ეგიდით მზადდებოდა დიდი საერთაშორისო ფორუმი.

ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა, რაც უფრო გახმაურდებოდა ტერორისტული აქტი, მით უფრო მომგებიანი იქნებოდა შედეგი.

ამას გარდა, სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა „სატყუარა“ უნდა ყოფილიყო უფრო დიდი მიზნის განსახორციელებლად (ამაზეც ქვემოთ).

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, შეთქმულების მონაწილეებმა გეგმა შეადგინეს და მისი განხორციელების სხვადასხვა ვერსია განიხილეს.

საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სოლიკო ხაბეიშვილი მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით მოეკლათ.

მაგრამ ეს გეგმის მხოლოდ პირველი ნაწილი იყო.

მეორე ნაწილი თვით სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მოსპობას ვარაუდობდა.

აქ პისტოლეტი არ გამოდგებოდა. იგი ისეთი საშუალებით უნდა მოეკლათ, რომელიც უტყუარი იქნებოდა, ასპროცენტიან შედეგს გამოიღებდა, თუნდაც მრავალი სხვა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

თავდასხმის ორი ვარიანტი შემუშავდა: „ადამიანი-ბომბით“ ან სოლიკო ხაბეიშვილის საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს ლიფტში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობით, მაშინ, როდესაც ედუარდ შევარდნაძე სოლიკო ხაბეიშვილის პანაშვიდზე ან დაკრძალვაზე მივიდოდა.

მისვლით კი აუცილებლად მივიდოდა.

გამოძიებამ დაადგინა: 1995 წლის 19 ივნისს გიორგი გელაშვილმა, თემურ ხაჩიშვილმა და კიდევ ერთმა შეთქმულმა ლ. ზაქარეიშვილმა ტაშკენტის ქუჩის №4 კორპუსის მე-13 ბინაში გოჩა თედიაშვილს, ჯ. საყვარელიძეს და გოჩა გელაშვილს, რომლებსაც უშუალოდ უნდა მოეკლათ სოლიკო ხაბეიშვილი, მიუტანეს „მაკაროვის“ სისტემის უხმო პისტოლეტები და ვაზნებით სავსე მჭიდები.

იქვე ბინაში შეამოწმეს პისტოლეტები: საცდელად ესროლეს ოთახში მდგარ დივანს და სხვა ავეჯს.

უტყუარი იარაღი აღმოჩნდა.

მკვლელობისთვის ყველაფერი მზად იყო.

20 ივნისის დილას გიორგი გელაშვილმა თავისი შინდისფერი „ნივით“ გოჩა თედიაშვილი და გოჩა გელაშვილი სოლიკო ხაბეიშვილის საცხოვრებელ კორპუსთან მიიყვანა ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტის №75-თან.

9 საათი და 30 წუთი. სოლიკო ხაბეიშვილი თავისი სადარბაზოდან გამოვიდა და იქვე გაჩერებული სამსახურებრივი ავტომანქანისკენ გაემართა. მძღოლი აკაკი დალაქიშვილი საჭესთან იჯდა.

მისი სადარბაზოდან გამოსვლა ტერორისტთა მუდმივმა მეკავშირემ თემურ ქურდიანმა იქ ახლოს მდგარ გოჩა თედიაშვილსა და გოჩა გელაშვილს ანიშნა.

მეკავშირის ნიშანი მიიღო თუ არა, გოჩა თედიაშვილი მშვიდად მიეპარა უკნიდან სოლიკო ხაბეიშვილს და მაყუჩიანი პისტოლეტიდან თითქმის მიბრჯნით ესროლა კეფაში, წაქცეულს კიდევ რამდენიმე ტყვია დაახალა ბეჭებსა და თავში.

ამასობაში გოჩა გელაშვილი მძღოლს აკაკი დალაქიშვილს გაუსწორდა, რომელმაც ვერც კი მოასწრო გაეაზრებინა დანახული. სამმა გასროლამ საშიში მოწმე სამუდამოდ დაადუმა.

ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა – უხმოდ, ზუსტად, აუღელვებლად.

კინოკადრი თითქოს წამიერად შეჩერდა და კვლავ გაგრძელდა.

მკვლელობის შემდეგ გოჩა თედიაშვილი, გოჩა გელაშვილი და თემურ ქურდიანი სირბილით მივიდნენ ი. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფირმა „ჯორჯიან ტრანზოილის“ ადმინისტრაციულ ოფისთან, სადაც მათ გიორგი გელაშვილის „ნივით“ ჯ. საყვარელიძე ელოდებოდა.

იმავე დღეს ი. ჭავჭავაძის გამზირის 21-ე კორპუსის №10-ში გიორგი გელაშვილის ბინაში შეიკრიბნენ ყველანი: თემურ ხაჩიშვილი, გიორგი გელაშვილი, ლ. ზაქარეიშვილი, გოჩა თედიაშვილი და გოჩა გელაშვილი. მოისმინეს თუ როგორ განხორციელდა ოპერაცია.

თემურ ხაჩიშვილმა მკვლელებს დანაშაულის ჩადენის იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტები ჩამოართვა.

მოსამზადებელი პერიოდი დამთავრდა.

ჯერ კიდევ სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობამდე, შეთქმულთა გეგმის შესაბამისად უშიშროების სამსახურის ოპერატიული სამმართველოს უფროსს იური გულიევს დაევალა დაემზადებინა ადამიანის სხეულზე ჩამოსაცმელი ისეთი ჟილეტი, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იქნებოდა ჩამონტაჟებული. ჟილეტის აფეთქება დისტანციური მართვის პულტის გამოყენებით უნდა მომხდარიყო.

იური გულიევმა მიღებული დავალების შესაბამისად ეს სპეციალური ჟილეტი მართლაც დაამზადებინა და იგი თემურ ხაჩიშვილს გადასცა, მან კი – გიორგი გელაშვილს.

ჟილეტი თეთრი ფერის, დაახლოებით 5,8 სმ სიგანის, 20 კილოგრამამდე წონის სხეულზე ჩამოსაცმელ ასაფეთქებელ მოწყობილობას წარმოადგენდა.

ახლა „კამიკაძე“ იყო შესარჩევი, ვინც ამ ჟილეტს ჩაიცვამდა და ედუარდ შევარდნაძეს ააფეთქებდა.

გიორგი გელაშვილმა ასეთ კაცად თავისი ძველი ნაცნობი, წაღვერში მცხოვრები მხედრიონელი პავლე ბუხრიკიძე შეიგულა. ოღონდ ის კი არ უთხრა, შენც უნდა აფეთქდეო, მოატყუა, სპეციალურ ჟილეტს ტანსაცმლის შიგნით ჩაგაცმევთ, სახელმწიფოს მეთაურთან მიახლოებისას ღილაკზე თითს დააჭერ, პულტი ისეთ ნივთიერებას გამოასხივებს, რომლის ზემოქმედებით ედუარდ შევარდნაძე რამდენიმე დღეში ლეიკოზით (სისხლის გათეთრებით) მოკვდება, შენ კი უვნებლად გადარჩებიო.

სახელმწიფოს მეთაური ხომ გასწირა, ძველი ძმაკაციც იოლად გაიმეტა.

პავლე ბუხრიკიძე დათანხმდა შეესრულებინა „ადამიანი ბომბის“ როლი, ოღონდ ის კი არ იცოდა, რომ სწორედ ბომბი უნდა ყოფილიყო.

შეთქმულების წევრებმა სოლიკო ხაბეიშვილის საცხოვრებელი სახლის პირველი სადარბაზოს ლიფტში სახურავზე ნაღმი დაამონტაჟეს დეტონატორითა და რადიომიმღები მოწყობილობით, ნაღმს დისტანციური მართვის პულტით ააფეთქებდნენ, როცა პანაშვიდზე ან დაკრძალვაზე მისული ედუარდ შევარდნაძე ლიფტით ისარგებლებდა.

იყო სამარქაფო ვარიანტიც: თუ სახელმწიფოს მეთაური ლიფტში არ შევიდოდა, მაშინ პავლე ბუხრიკიძის ტანზე ჩაცმული ჟილეტის აფეთქებით უნდა მოეკლათ.

მაგრამ მოვლენები ისე არ წარიმართა, როგორც ფიქრობდნენ. შეთქმულთა ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო, არც ერთი ვარიანტის განხორციელება არ მოხერხდა.

ივლისის ბოლოს ერთხელ კიდევ სცადეს: გიორგი გელაშვილმა და სხვებმა პავლე ბუხრიკიძეს ჟილეტი ჩააცვეს და ფილარმონიის შენობასთან მიიყვანეს, ფილარმონიიდან ედუარდ შევარდნაძის გამოსვლისას „ადამიან ბომბს“ ღილაკზე თითი უნდა დაეჭირა და ვითომ სისხლის გამათეთრებელი სხივები გაეშვა... ფაქტობრივად, რაც უნდა მომხდარიყო, მკითხველმა იცის.

არც ეს გამოვიდა.

რჩებოდა მესამე ცდა.

წინ 1995 წლის 29 აგვისტო იყო.

ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება გულში მაინც გაგკრას თანამოაზრეთაგან ასე უღვთოდ განწირული პავლე ბუხრიკიძის სიბრალულმა.

მაგრამ პავლე ბუხრიკიძე-„კამიკაძე“ სულაც არ გახლდათ მამა აბრამის ბატკანი.

1992 წლის 9 ივლისს ბორჯომის „მხედრიონის“ წევრები პავლე ბუხრიკიძე, კახა კიკაძე, დავით ხაჩიძე და კაკო გელაშვილი მანქანით სეირნობდნენ მშობლიურ ქალაქ-კურორტში, მუხლებზე ავტომატები ეწყოთ, კარგა შექეიფიანებულები იყვნენ და აღმა-დაღმა დაგრიალებდნენ. გზად დავით ჩადუნელი შემოხვდათ. იმან, თავისდა ჭირად, ანიშნა, გააჩერეთო. კახა კიკაძესთან რაღაც დავა და უკმაყოფილება ჰქონდა და უთხრა, გადმოდი, ერთი ერთზე ვილაპარაკოთო. ლაპარაკი მალე ხმამაღალ კამათში გადაიზარდა. რამდენიმე ხანში მათთან ავტომატიანი კაკო გელაშვილი მივიდა და სიტყვიერ ჩხუბში ჩაერია.

ამით განაწყენებულმა თუ ავტომატით დამფრთხალმა დავით ჩადუნელმა კაკო გელაშვილს პისტოლეტიდან ესროლა.

ამის დანახვაზე პავლე ბუხრიკიძე მანქანიდან გადმოხტა და ჩადუნელს ავტომატიდან ტყვია დააყარა.

ჩადუნელი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რას მღეროდა მენესტრელი და რას - არა

არის ასეთი გამოთქმა – „თვალებში ნაცრის შეყრა“.

თვალებში ნაცრის შეყრის სიბრძნეს მოქნილად იყენებდა მაშველთა კორპუსის („მხედრიონის“) ის ნაწილი, რომელმაც ეს ორგანიზაცია შიშისმომგვრელ მონსტრად, საფრთხობელად აქცია.

არ შეიძლება ყველა უკმაყოფილო გვყავდეს, არ შეიძლება ვიღაცა მაინც არ შემოიტოვო, ვინც შენზე კარგს იტყვის საყოველთაო გინების კორიანტელში.

მშიერი, ბოგანო კაცი, თუ ერთხელ მაინც ლუკმას მიაწვდი, ეს ლუკმა თუნდაც არამი, სხვისთვის წაგლეჯილი იყოს, ქადაგად დავარდება და შენს სიკეთეს ქვეყანას მოჰფენს.

არსენა ოძელაშვილი მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა.

ყაჩაღი იყო, მაგრამ დიდი სახელი ჰქონდა.

ესენიც ყაჩაღები იყვნენ და სახელის მოხვეჭაც სურდათ: „მდიდარს“ ართმევდნენ (ღარიბისთვის რა უნდა წაერთმიათ) და ზოგიერთ მისულმკვდარებულს ორიოდ ფინჩხას მიუგდებდნენ, სამადლობელი ლექსები დაგვიმღერეთო.

როგორღაც ერთი თელაველი პედაგოგი კაცის წერილი შემოგვრჩა რედაქციაში. მაშინ ძალიან მოინდომა მისი დაბეჭდვა, ლამის ცრელმორეული იხვეწებოდა. წარსული ამბავია და მის გვარს არ გავაცხადებ, ოღონდ, წერილიდან ნაწყვეტს კი გაგაცნობთ, როგორც ამ ავტორის გულუბრყვილობის (გააზრებული თუ გაუაზრებელი გულუბრყვილობის?) და წერილის გმირთა თვალში ნაცარმყრელობის იშვიათ ნიმუშს.

წერილი ეძღვნება ოლეგ ქუჯაიძეს – მაშველთა კორპუსის თელავის ჯგუფის უფროსს, **„წარმოსადეგ ახალგაზრდას, ჯერ რომ მხოლოდ 34 წლისაა და ცდილობს ყველას გული მოიგოს, შესაძლებლობის ფარგლებში ყველას ამოუდგეს მხარში, რომლისთვისაც არ არსებობს თავისუფალი დრო, ხალხზე ზრუნვაში მის თვალზე ძილი არ ყოფილა. სხვას რომ სცივა, თვითონ ვერ ისვენებს თბილ ლოგინში“.**

ერთი სიტყვით ბალადაა, ესეა, „ბატონ ოლეგისა და მისი კუნთმაგარი ბიჭების“ სახით დაუნჯებული ზოგადეროვნული ფენომენის ფილოსოფიური გააზრებაა.

„თელავში, თურდოსპირელის ქუჩაზე, სადაც რაიონის მაშველთა კორპუსის რაზმია დაბანაკებული, ხშირად ნახავთ პენსიონერებს, ზოგს ზეთი ესაჭიროება, ზოგს – ჩაი, ზოგს – შაქარი და ფქვილი. ოლეგ ქუჯაიძე და მისი ბიჭები ყველას თხოვნას ასრულებენ, ამ მძიმე, სოციალური დაუცველობის ჟამს მცირედით მაინც ეხმარებიან მათ... მაშველთა კორპუსმა ბაგა-ბაღებს გადასცა 10-10 ლიტრი საჭმელი ზეთი, სხვადასხვა სახის ბოსტნეული, დაკონსერვებული კიტრი, 5-5 ტომარა ფქვილი და პირველი შესაძლებლობისთანავე კიდევ გაიმეორებენ აღნიშნულს... ქალაქის პირველი და მე-4 სკოლების პედაგოგებს უსასყიდლოდ გადაეცათ 10-10 კილოგრამი ფქვილი, ე. ი. თითოეულ სკოლას – ნახევარ-ნახევარი ტონა ფქვილი, რითაც გული გაუთბეს თავიანთი შვილების აღმზრდელებს... ისინი წინასწარ ესაუბრებიან დაზარალებულთა ოჯახებს და ვისაც რაში უნდა დახმარება, იმით ეხმარებიან: ზოგისთვის კუბოს აკეთებინებენ, ზოგს ღვინოს უგზავნიან, ზოგს – საკლავს... საახალწლოდ შედიოდა ოლეგი ოჯახებში და შეჰქონდა ტკბილეული, ნაძვისხის სათამაშოები, თბილისური პური. პატარები გულში ეხუტებოდნენ ძია ოლეგს. ხარობდნენ გოგიტა და ნათია, მევლუდი და ნაირა, ვასილი და ნატო“..

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-22

◎ რაგბი

საპრემიო ქულით ლიდერობა განიმტკიცეს

2014 წლის ევროპის ერთა თასი.

2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპი.

მეორე წრე. პირველი ტური. თბილისი. „ავჭალა“

საქართველო – ბელგია 35:0 (25:0).

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი (23. ბექა წიკლაური 59), 14. ირაკლი მაჩხანელი (კაპ.), 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა ხმალაძე (22. ლაშა მალაღურაძე 57), 9. გიორგი ბეგაძე (21. ვაჟა ხუციშვილი 49); 1. მიხეილ ნარიაშვილი (17. ზურაბ ჟვანია 47), 2. ჯაბა ბრეგვაძე (16. შალვა მამუკაშვილი 47), 3. დავით ქუბრიაშვილი (18. ლევან ჩილაჩავა 47), 4. კოტე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი (19. გიორგი ნემსაძე 57), 6. გიორგი თხილაიშვილი (ნარიაშვილი 75), 7. გიორგი ჩხაიძე, 8. დიმიტრი ბასილაია (20. ვიტო კოლელიშვილი 57). **მთავარი მწვრთნელი:** მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია).

6 ლელო: მიქაუტაძე, კვირიკაშვილი (2), შარიქაძე, მაჩხანელი, ჩხაიძე, **1 გარდასახვა:** კვირიკაშვილი, **1 ჯარიმა:** კვირიკაშვილი, **1 სინბინი:** ჟვანია (73).

ევროპის ერთა თასის წლევანდელ გათამაშებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 2015 წლის მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის საგზურს დაიმსახურებს, ამიტომაც „ბორჯღალოსნები“ თითოეულ მატჩს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

ბელგიელები ერთა თასის გათამაშების დებიუტანტები არიან, მაგრამ პირველი წრის შეხვედრა სტუმრად ჩვენმა ბიჭებმა რის ვაივაგლახით მოიგეს. მილტონ ჰეიგის შეგირდებმა განმეორებით პაექრობაში გაითვალისწინეს შარშან დაშვებული შეცდომები და, იმის მიუხედავად, რომ გუნდს რამდენიმე წამყვანი მორაგბე აკლდა და თბილისური თოვლისა და ყინვის გამო მოედანიც არ იყო სათანადო მდგომარეობაში, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ორთაბრძოლა მოეგოთ და საპრემიო ქულაც დაემსახურებინათ – მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს.

რუმინეთი – პორტუგალია 24:0, ესპანეთი – რუსეთი 25:28.

1 საქართველო	6	5	1	0	170-61	24
2 რუმინეთი	6	5	1	0	138-65	23
3 რუსეთი	6	4	0	2	138-141	18
4 პორტუგალია	6	1	1	4	75-120	7
5 ესპანეთი	6	0	2	4	97-157	6
6 ბელგია	6	0	1	5	92-166	5

8 თებერვალი. პორტუგალია - საქართველო, რუსეთი – რუმინეთი, ესპანეთი – ბელგია.

* * *

გასულ უქმეებზე დაიწყო ევროპის ყველაზე პრესტიჟული სარაგბო ტურნირის – ექვსი ერის თასის 2014 წლის გათამაშება. მოქმედი ჩემპიონი უელსი იტალიას კარდიფის „მილენიუმზე“ დაუხვდა და შინ კვლავ მიაღწია წარმატებას – 23:15. „სტად ფრანსეზზე“ მაყურებელმა დრამატული შეხვედრა იხილა: თავიდან ფრანგებმა შეუტიეს – 16:3, მერე ინგლისელებმა იძალეს და დაწინაურდნენ – 18:16, თუმცა საბოლოოდ მაინც მასპინძლებმა გაიმარჯვეს – 26:24. ირლანდია – შოტლანდია 28:6.

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

მედალოსანთა კვარტეტი

სტამბოლში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი – ვეჰბი ემრეს მემორიალი, რომელშიც საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მეორე ნაკრები მონაწილეობდა. ქართველმა ფალავნებმა თურქეთში ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. განსაკუთრებით იყოჩაღეს მინდია წულუკიძემ (71 კგ) და თორნიკე ძამაშვილმა (80 კგ), რომლებმაც სამ-სამ მეტოქეს სძლიეს და მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს – წულუკიძე აზერბაიჯანის ნაკრების წევრ რასულ ჩუნაევთან დამარცხდა, ძამაშვილს კი ბელარუსმა ვიქტორ სასუნოუსკისმა აჯობა. ანტონ მამაგეიშვილი (66 კგ) და სოსო ჯაბიძე (98 კგ) მესამე ადგილებს დასჯერდნენ. ლიდერებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები მთავარმი მწვრთნელის – ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით 8-9 თებერვალს პარიზში „ოქროს დიდ პრიზზე“ იასპარეზებს.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „იუვენტუსი“ – „ინტერი“ 3:1, „ატალანტა“ – „ნაპოლი“ 3:0, „მილანი“ – „ტორინო“ 1:1, „კალიარი“ – „ფიორენტინა“ 1:0. გადაიდო „რომასა“ და „პარმას“ მატჩი.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ვალენსია“ 2:3, „ბილბაო“ – „რეალი“ 1:1, „ატლეტიკო“ – „სოსიედადი“ 4:0, „მალაგა“ – „სევილია“ 3:2, „გრანადა“ – „სელტა“ 1:2.

ინგლისი. „ვესტ ბრომვიჩი“ – „ლივერპული“ 1:1, „სტოკი“ – „მანჩესტერი“ 2:1, „არსენალი“ – „კრისტალ პალასი“ 2:0, „ევერტონი“ – „ასტონ ვილა“ 2:1, „საუთჰემპტონი“ – „ტოტენჰემი“ 1:1.

გერმანია: „ბაიერნი“ – „აინტრახტი“ 4:0, „შალკე“ – „ვოლფსბურგი“ 2:1, „ლევერკუზენი“ – „შტუტგარტი“ 2:1, „ბრაუნშვაიგი“ – „ბორუსია“ 1:2, „ჰერტა“ – „ნიურნბერგი“ 1:3.

გიორგი შოთაძე

◎ კრივი

ფავორიტთა უმეტესობამ პოზიციები შეინარჩუნა

სასპორტო კომპლექს „არენაში“ ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის ასამდე წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. ფავორიტთაგან რინგზე არ გამოსულა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ჯაბა ხოსიტაშვილი (75 კგ), რომელიც ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კლუბში ვარჯიშობს და ეროვნულ ჩემპიონატს თავი აარიდა. საქართველოს კრივის მესვეურთა განცხადებით, ხოსიტაშვილმა ეროვნულ ნაკრებში დასამკვიდრებელი გზა მოიჭრა, რაც ფრიად დასანანია. ქვეყნის პირველი გუნდის წევრობის კანდიდატთაგან დავით ნანავამ, გიორგი გოგატიშვილმა, ვენედიქტ ერანოსიანმა, ზაალ კვაჭატაძემ, ლევან გულედანმა და მიხეილ ბახტიძემ ყველა მეტოქეს სძლიეს და ჩემპიონობით პოზიციები განიმტკიცეს. პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ლიდერი იაგო კიზირია. იგი სტარტზევე დამარცხდა გიორგი გონჯილაშვილთან. ამ მოკრივეს შვიდი წელიწადი აქტიური სპორტისთვის თავი დანებებული ჰქონდა, წელიწადია, რაც რინგს დაუბრუნდა და ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. კვაჭატაძემ და ერანოსიანმა „ბილაინის“ სპეციალური პრიზები დაიმსახურეს, ხოლო გოჩა ბადურაშვილს ყველაზე ტექნიკური მოკრივის პრიზი გადაეცა. რაც შეეხებათ ჩემპიონებს, წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **49 კგ.** დავით ნანავა, **52 კგ.** გიორგი გოგატიშვილი (ორივე-ფოთი), **56 კგ.** არტურ მოვსესიანი (თბილისი), **60 კგ.** ვენედიქტ ერანოსიანი (ახალქალაქი), **64 კგ.** ირაკლი მელიქიშვილი, **69 კგ.** ზაალ კვაჭატაძე, **75 კგ.** გოჩა ბადურაშვილი (სამივე-თბილისი), **81 კგ.** ნიკოლოზ სეხნიაშვილი (გორი), **91 კგ.** ლევან გულედანი (თბილისი), **+91 კგ.** მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი).

ლექსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

ინიესტას სახლზე დიდი მოთხოვნილებაა

ესპანეთში მდებარე სოფელ ფუენტელაბილიეში არსებული ულამაზესი ვილა, რომელიც ესპანეთის ნაკრებისა და კატალონიის „ბარსელონას“ ფეხბურთელს ანდრეს ინიესტას ეკუთვნის, შესაძლოა, აუქციონზე გაიყიდოს. ეს გადაწყვეტილება ანდრესმა მას შემდეგ მიიღო, რაც ზემოთაღნიშნულ ვილას ბოლო დროს უამრავი მყიდველი გამოუჩნდა.

ინიესტას მშობლიურ სოფელში აგებული ვილის მშენებლობა (სადაც პატარა ეკლესიაც მდებარეობს) 2005 წელს დასრულდა და კატალონიური კლუბის ქომაგისათვის ჭეშმარიტ სამოთხეს წარმოადგენს. სახლი, მისი ეზო და აუზიც კი მთლიანად „ბარსელონას“ ფერებშია გადაწყვეტილი. გარდა ამისა, სახლი სავსეა ინიესტას მიერ მოგებული ჯილდოების ასლებით.

აუქციონზე გასატანი სახლის პირველადი ღირებულება 5 მილიონი ევრო იქნება, თუმცა, როგორც ფეხბურთელი ვარაუდობს, ამ სახლით იმდენი ფულიანი ადამიანია დაინტერესებული, რომ საბოლოოდ ალბათ რამდენიმე ათეულ მილიონად გაიყიდება. ფუენტელაბილიეში ინიესტა მეორე სახლს ახლა იშენებს და მშობლიური სოფლის მიტოვებას არ აპირებს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩოგბურთი

დევისის თასზე მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ

დევისის თასის მეოთხედფინალისტთა სიას ბოლოს დიდი ბრიტანეთი და იტალია შეუერთდნენ. ალბიონელებს და აპენინელებს გადამწყვეტი ქულები ენდი მარეიმ და ფაბიო ფონინიმ მოუპოვეს. დიდი ბრიტანეთის სახელით მოთამაშე შოტლანდიელმა ამერიკელ სემ კუერის 7:6, 6:7, 6:1, 6:3 სძლია, თავის გუნდს მესამე ქულა მოუტანა და მეოთხედფინალში გაიყვანა.

იტალიელებს რაც შეეხება, მათაც ანალოგიური ანგარიშით (3:1) დაამარცხეს არგენტინელები. მარეის მსგავსად ფონინისაც გადამწყვეტი ქულის მოსაპოვებლად ოთხსეტიანი პაექრობის ჩატარება დასჭირდა – ფონინიმ კარლოს ბერლოკს 7:6, 4:6, 6:1, 6:4 მოუგო.

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

1. ყაზახეთი – შვეიცარია, 2. დიდი ბრიტანეთი – იტალია, 3. გერმანია – საფრანგეთი, 4. ჩეხეთი – იაპონია,

მეოთხედფინალური პაექრობები 4-6 აპრილს ჩატარდება, ნახევარფინალში კი ერთმანეთს 1-2 და 3-4 წყვილებში მოგებულები დაუპირისპირდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სუპერბოული – 2014

„სიეტლი“ – პირველად!

ამერიკული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო პირველად მოიპოვა „სიეტლ სიჰოუქსმა“, რომელმაც თავისი მეორე ფინალი ორგზის ტრიუმფატორ „დენვერ ბრონქოზს“ 43:8 მოუგო (პირველი ცდა 2005 წელს „პიტსბურგთან“ წარუმატებლად დასრულდა).

აღსანიშნავია, რომ ტრიუმფატორის მეტოქე მეშვიდედ თამაშობდა სუპერბოულში და ორჯერ უკვე დალაშქრული ჰქონდა ოლიმპი.

სატიტულო ბრძოლის უძვირფასესი მონაწილედ გამარჯვებულთა ლიდერი მალკოლმ სმიტი მიიჩნიეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ველით პრეზიდენტისა და მინისტრის პასუხს!..

ქართული გულარხეინობა თუ...

გამაოგნა ჟურნალ „სარკის“ მე-4 ნომერში დაბეჭდილმა ინტერვიუმ, სადაც ჩვენს კოლეგა-ჟურნალისტს ესაუბრება თურქეთში ქართული კულტურის სახლის **„ჩვენებურების“** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ნათია შარაშენიძე**. იგი, ამ რამდენიმე წლის წინათ, სამუშაოს საძებნელად წასულა თურქეთში. იქ მცხოვრებ ლაზებს დაახლოებია და მათ შორის ცხოვრების თანამგზავრიც უპოვია — გათხოვილა... ნათია საქართველოს ხშირად სტუმრობს. და, აი, „სარკის“ კორესპონდენტს უამბობს თურქეთში მცხოვრები ემიგრანტებისა და ეთნიკური ქართველების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათი სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

— ქართული კულტურის სახლ „ჩვენებურებში“ ჩვენ მოვახერხეთ ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება, — ყვება ნათია, — იქაური ეთნიკური ქართველები იკრიბებიან და ენას სწავლობენ... ყველაზე მთავარი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ის არის, რომ თურქეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება და იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველები არჩევით საგნად ისწავლიან მშობლიურ ენას — ქართულს.

ქართული ენა, როგორც ოფიციალური საგანი, თურქულ სკოლებში შევიდა და მე-5-6-7-8 კლასებში უნდა ისწავლებოდეს. ბრძანება შარშან გამოიცა, მაგრამ სექტემბრიდან ამ საგნის სწავლება იმიტომ ვერ დაიწყეს, რომ სახელმძღვანელოები მზად არ იყო...

რასაც ახლა თქვენ ქვემოთ ნახავთ, ძვირფასო მკითხველო, სწორედ ამან გამაოგნა და, დარწმუნებული ვარ, არც თქვენ გესიამოვნებათ. ნათია განაგრძობს: **— თურქული მხარე უზრუნველყოფდა სახელმძღვანელოების დაბეჭდვას, ოღონდ, საქართველოს განთლების სამინისტროს პროგრამა უნდა შეედგინა. სომხური, ებრაული და სხვა ენები უკვე ისწავლება იქ, ვნახე მათი პროგრამები, რომლებიც 78-80-გვერდიანები იყო. ქართველებმა კი მხოლოდ 7-გვერდიანი პროგრამა გამოგვიგზავნეს... აშკარად სამარცხვინო იყო ეს პროგრამა, მაგრამ მაინც გავუგზავნეთ თურქეთის განათლების სამინისტროს. მათ კი უკან დაგვიბრუნეს... ეს ხდება მაშინ, როცა განათლების მინისტრად დღევანდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იყო. თურქებმა შენიშვნები მოგვცეს — მოცულობა გაზარდეთ და ძირითადად ქართული მოთხრობები ჩაამატეთო. შენიშვნები განათლების სამინისტროს გადმოვუგზავნეთ, მაგრამ უფრო სასაცილო და სატირალი პასუხი მივიღეთ, ჩვენ მეტი არ შეგვიძლია, მხოლოდ ეს მოვახერხეთო. ხელს დღევანდელი მინისტრი თამარ სანიკიძე აწერდა. არადა, ეს მოვლენა ისტორიულია. იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველები მშობლიურ ენას კარგავენ, უდიდეს რაღაცას მივაღწიეთ და, რა ხდება?.. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რა უნდა ჰქონდეს დღეს საქართველოს განათლების სამინისტროს?**

რაღა უნდა გვექნა? თურქეთში გვყავს მწერალი ქევსერ რუჰი, რომელიც წარმოშობით ქართველია და ქართულიც კარგად იცის. იქ ცხოვრობს, აგრეთვე, პროფესორი ფარედინ ჩილოღლუ, იგივე ფარნა — ბექა ჭილაშვილი... ამ ორ ადამიანს ვთხოვეთ დახმარება, იქნებ დაწერონ პროგრამა იქ მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის და რედაქტირებაც გაუკეთონ. ვერ გეტყვით, რა იქნება და მოესწრება თუ არა, რომ მომავალ სექტემბერს მაინც შევიდეს ქართული ენა სკოლებში!

აი, ეს არის ამონარიდები ჟურნალ „სარკეში“ დაბეჭდილი ნათია შარაშენიძის საუბრიდან...

— მერე ამან გაგაოგნა, შე კაი კაცო? ეს ხომ „ქართული გულარხეინობის“ კიდევ ერთი მაგალითია? — იტყვის ზოგი, ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ განა საქართველოში არ დაიწერა? რა ხელისუფლებაც უნდა მოვიდეს, ვინც უნდა „იქიჩმაჩოს“ ერის გადამრჩენელის „მანტიით“, „ქართულ გულარხეინობას“ ვინ შეუცვლის?!

* * *

ისე, ბატონი პრეზიდენტი თუ იკადრებს, გაიხსენებს და მიზეზებსაც აგვიხსნის, რა იყო, რატომ მოეკიდა განათლების სამინისტრო თურქეთში გასაგზავნი სასწავლო პროგრამის საკითხს ასე გულრილად, მისი მინისტრობის დროს, საჭიროც არის და აუცილებელიც.

დაუყოვნებლივ ველოდებით, აგრეთვე, ქალბატონი განათლების მინისტრის პასუხსაც!

ვილენ მარდალეიშვილი

შვილი ანდრია, დედა ვიკა სულავა, მამა ნუგზარ სულავა, ძმა ირაკლი, და სოფო, დისწული მარიამი, ძმისწულები მარიამი, გიორგი, სიძე ირაკლი კიზირია, რძალი თამუნა სულავა, ბებია ლამარა გიორგაძე, ბიძები გურამ, თამაზ, სოსო, მამუკა სულავები, მამიდები ლალი, ნანა სულავები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კარლო (კოკა)

ნუგზარის ძე სულავა

დაკრძალვა 4 II, 14 სთ. მისამართი: გლდანის მე-2 მიკრ. 43-ე კორპ. გამოსვენება გლდანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან. ქერჩის ქ. №22.

მეუღლე თამარ აბზიანიძე, შვილები გულიკო, ნანა გეგუჩაძეები, სიძე ტარიელ ღვაბერიძე, შვილიშვილები გიორგი, გვანცა, მაიკო ღვაბერიძეები, ირა, თამარ ბეროზაშვილები, შვილთაშვილები, ძმისწულები, ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რევაზ მექის ძე გეგუჩაძე

პანაშვიდი 4, 5 II, ავჭალა, გაზების დასახლება, გამოსვენება 6 II, 14 სთ. ვარდების რევოლუციის პარკთან მდებარე ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიიდან.

◎ ალიან-ჩალიანი

იტალიური კომპანია იუსტიციის სახლში ადამიანების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ვერ იღებს

— იტალიური კომპანიისგან რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ დასკვნა, რომელიც ცალსახად ამბობს, რომ ისინი ვერ აგებენ პასუხს ადამიანის უსაფრთხოებაზე და, აქედან გამომდინარე, ვერც იმაზე იღებენ პასუხისმგებლობას, რომ თუკი თბილისის იუსტიციის სახლის დარბაზში თანამშრომლები და მოქალაქეები შეშვებული იქნება, იქ რაიმე სავალალო შედეგს არ ექნება ადგილი, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

— იქ სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, თუ ყინვამ არ შეგვიშალა ხელი, ვგეგმავთ რომ დარბაზი გაზაფხულზე გაიხსნას. ამასობაში ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება თბილისში ორ სხვადასხვა ცენტრში გრძელდება, — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა და იქვე განმარტა, რომ სხვა რაიონებში იუსტიციის სახლები უპრობლემოდ აგრძელებენ მუშაობას.

დროულად ისარგებლეთ ამნისტიის შესახებ კანონით!

— მინმართავ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებსაც 2009 წლის 1 იანვრამდე შეიძლება ჰქონდათ ჩადენილი ისეთი დოკუმენტების გაყალბება, როგორიცაა პირადობის მოწმობა, საბჭოთა პასპორტი, დაბადების მოწმობა, ქორწინების/განქორწინების მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, ნებისმიერი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი და ისეთი ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება, რომელსაც გასცემს სამოქალაქო რეესტრი, ასევე იმ მოქალაქეებს, ვინც 2009 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინა დევნილის მოწმობის გაყალბება, ამ მოქალაქეებისთვის პარლამენტმა ახლახან გამოაცხადა ფართომასშტაბიანი ამნისტია. ის მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუკი პირი ნებაყოფილობით განაცხადებს, რომ ჩაიდინა სიყალბე, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, ეს არის მაქსიმალურად გამოსაყენებელი შესაძლებობა მოქალაქეების მიერ, რადგან ამნისტიით პირი თავისუფლდება არა მარტო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, არამედ სასჯელისაგან და თავისუფლდება ფინანსური სარგებლის ანაზღაურებისგანაც.

— მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს, რაც შეიძლება მალე გამოცხადდეს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის დაწესებულებებში, რათა ისარგებლონ ამ კანონით, ეს მათ საშუალებას მისცემს თავიდან აიცილიონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და მეორე მხრივ, მოაწესრიგონ საბუთები, — აღნიშნა მინისტრმა.

ამასთან, თეა წულუკიანი მოსამართლეებს განუმარტავს, რომ კანონი მოქმედებს მხოლოდ მათზე, ვინც გაყალბების შესახებ თავისი სურვილით განაცხადებს.

მიუსაფართა თავშესაფარი ადგილს იცვლის

მიუსაფართა თავშესაფარი მოსკოვის პროსპექტიდან დიდი ლილოს ტერიტორიაზე გადავა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომის შემდეგ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განუცხადა.

მისი თქმით, თავდაპირველად, დიდი ლილოს ტერიტორიაზეც იქნება კარვები, ხოლო მას შემდეგ, რაც აშენდება კონსტრუქციული ნაგებობა, მიუსაფარი ადამიანები იმ შენობაში შესახლდებიან.

მინისტრმა აღნიშნა, რომ კარვებს დიდი ლილოს ტერიტორიაზე მაშინ გადაიტანენ, როდესაც მინიმალურად აუცილებელი კომუნიკაციები მოწესრიგდება.

როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, ამ შენობის აშენება, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს დასრულდება. მისივე თქმით, მშენებლობა, შენობის ტიპიდან გამომდინარე, იქნება მარტივი და შესაძლოა, ამ სამუშაოებში მიუსაფარი ადამიანებიც ჩაერთონ.

ინტერპრესი

◎ რატომ?

კიდევ ერთი გაუთვლელი „საუკუნის პროექტი“ შეჩერებულია

ნაციონალური მოძრაობის მიერ **„საუკუნის პროექტად“ მონათლული თბილისის რკინიგზის პროექტი შეჩერებულია. მიზეზად — არასათანადო ეკონომიკური დასკვნები და გათვლებია დასახელებული. ამაზე წინა ხელისუფლების დროინდელმა უმცირესობაში მყოფმა საპარლამენტო დეპუტაციამ ვაიუშველებელი ატეხა, — საბიუჯეტო თანხები წყალს გაატანესო. პროექტი გააჩერესო. ივანიშვილის მთავრობა კი აკონკრეტებდა, რომ მშენებლობა კი არ გაჩერებულა, სათანადო ოპტიმალური გათვლების გაკეთებამდე შეჩერებულიაო.**

შემოვლითი რკინიგზის პროექტის მიხედვით 100 მლნ ევრო თავად „საქართველოს რკინიგზას“ ევროპის რეკონსტრუქციის ბანკისაგან სესხად უნდა აეღო, ხოლო 70 მლნ ევროს თავად „საქართველოს რკინიგზა“ გამოყოფდა ლონდონის ბირჟაზე გაყიდული ევრობონდებით. ასე რომ, ბიუჯეტი აქ არაფერ შუაშია. პირიქით მისმა დროებითმა შეჩერებამ ქვეყანა ახალი უაზრო ვალებისგან იხსნა.

სააკაშვილის დროინდელი პროექტით შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა 2013 წელს უნდა დასრულებულიყო. მთავრობამ მშენებლობის შეჩერების თაობაზე განცხადება ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში გააკეთა. რადგანაც პროექტის განხორციელება დაიწყო სპონტანურად ეკონომიკურ-ტექნიკური საბუთების გარეშე. საკონსულტაციო კომპანია MC Mobiliti-ს კვლევებით დადგინდა, რომ **პროექტის განხორციელების შემთხვევაში გაუარესდებოდა რორგორც საოპერაციო, ასევე მონაკვეთის მოვლა-შენახვის მაჩვენებლები. მცირდებოდა გამტარუნარიანობა (სატრანზიტო სიმძლავრე), ამასთან პროექტის ამგვარი ფორმით ხორცშესხმა აუცილებელს ხდიდა მაღალბიუჯეტიანი თანმდევი პროექტების განხორციელებას, რაც არსებული 170 მლნ ევროს ბიუჯეტით გათვალისწინებული არ იყო. —** აცხადებენ ექსპერტები.

პრობლემები ექმნებოდათ შემოვლითი რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებს, იმ სახლების მეპატრონეები, რომლებიც ლიანდაგიდან 10-15 ან თუნდაც 50 მეტრში მდებარეობს, ამბობენ, რომ მათი სახლები ძველია, ტრამვაის გავლაზეც კი ძიგძიგებდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდნენ შენობები ყოველდღიური, ინტენსიური მრავალვაგონიანი ეშელონების გავლის შემთხვევაში. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ადგილობრივებმა საქმეში გარკვევისა და დახმარებისთვის, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართეს. ისინი ითხოვდნენ ძველი შენობებიდან გასახლებას, მაგრამ მათი ბედით ნაციონალები არ ინტერესდებოდნენ. ისინი ვერ ღებულობდნენ პასუხს კითხვაზე, თუ რა მოელით მათ მომავალში — განმარტავენ სპეციალისტები.

პრემიერთან შექმნილმა ახალმა ორგანომ — ეკონომიკურმა საბჭომ მიიჩნია, რომ აუცილებელია შემოვლითი რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება და მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მინიმალიზაცია, რისთვისაც ჩასატარებელია დამატებითი საპროექტო კვლევები.შემოვლითი რკინიგზის პროექტი მინიმუმ 3 წლით, 2017 წლამდეა შეჩერებული, — აცხადებს საქართველოს მთავრობა.

ზაზა ბილიხოძე

◎ როცა ასეთი სიყვარულია

მზემ გამიცინა

რუსუდან მალაზონიას

მზემ გამიცინა, მომაპყრო,
ოქროს სხივების ძალი,
ოჯახში შემომივიდა,
მშვენებით სავსე რძალი.
მადლობა უფალს, მადლობა,
დიდი მადლობა...
მადლი მის მშობლებს,
მის გამზრდელს,
რომ ამისრულეს ოცნება,
რომ დაანათლეს რუსუდანს,
ქართული პატიოსნება.
მადლობა უფალს, მადლობა,
დიდი მადლობა!
მზე ახლა ჩემთვის ლივლივებს,
მზე ახლა ჩემთვის ანათებს,
დაუზარებლად მიგზავნის
სასიხარულო ბარათებს;
მადლობა უფალს, — დიდება,
სიკეთე გადმოსდინდება.

ავთანდილ სიხარულიძე
თბილისი.

◎ დაიჯესტი

ღვინომ თუ არ დაგათრო...

უკოფეინო ყავა, ელექტრონული სიგარეტი, უალკოჰოლო ლუდი — აღნიშნულ პროდუქტებში ყველაზე „გემრიელი“ მდგენელების გამოცდაში მეცნიერებმა, ბრიტანული „ინდენპენდენტის“ ცნობით, როგორც ჩანს, ყველა ზღვარს გადავიდნენ: ახლა მათ... საერთოდ, ალკოჰოლის ჩანაცვლება მოინდომეს!

ამ ჩანაფიქრის დადებითი მხარეები აშკარაა — ჭარბი ალკოჰოლი ხომ გულს, ღვიძლს, მრავალ სხვა ორგანოს აღარ დააზიანებს, დამლევი კი არც „პახმელიაზე“ იქნება, აღარც მიეჩვევა, რადგან დალევს ანტიდოტს ნასვამი კაცი და — უმალ ფხიზელია! მეცნიერები აცხადებენ, რომ ცრუალკოჰოლი უშუალოდ თავის ტვინის ნეიროტრანსმიტერებზე ზემოქმედებს ისევე, როგორც ჩვეულებრივი ალკოჰოლი, თუმცა კი არანაირ აგრესიას არ იწვევს. გამოგონების ავტორმა დევიდ ნათმა ცრუალკოჰოლის კოქტეილების სახით გამოშვების წინადადება წამოაყენა, თუმცა კი საგულისხმოა, რომ მის დასპონსორებას არავინ ჩქარობს.

მოკარნახე ნახატი

ამერიკელ სექსოლოგთა დაკვირვებით, ქალიშვილის სექსუალური პოტენციალის დადგენა მისი... ნახატებით შეიძლება: თუკი სატრფო მას რამის დახატვას სთხოვს, ის რჩეულის სექსუალური ტემპერამენტის დადგენაში დაეხმარება.

თავდაპირველად საჭიროა იმას დაეკვირდეთ, თუ როგორაა დახატული ფიგურა. ნორმალური სექსუალური ტემპერამენტის მქონე ქალიშვილები მამაკაცს ფეხზე მდგას ხატავენ. თუ თქვენმა სატრფომ მჯდომარე, დაწოლილი ან მორბენალი დაგხატათ, მაშასადამე იგი სექსუალური ექსპერიმენტებისადმია მიდრეკილი. მოცულობითი გამოსახულება კი იმის ნიშანია, რომ ქალიშვილის დაუოკებელი სექსუალური ფანტაზია აქვს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „წელს ქვევით“ ზონას. უკომპლექსო ქალი აუცილებლად მიანიშნებს მაინც მის არსებობას. თუ ქალიშვილი ამის მინიშნებასაც კი მოერიდება, მაშასადამე, იგი საკმაოდ შებოჭილი და დაკომპლექსებულია.

წყლის „მარადიული ძრავა“

ალტაის მხარეში, ბეშჩალაკის ქედის შუა ნაწილში, სადაც მთის ტბების მთელი ჯაჭვია გადაჭიმული, ერთ-ერთზე ენით აუწერელი საოცრება ხდება — ტბიდან გამომდინარე წყალი მდინარეში ჩადის და შემდეგ თავისით აღმართში... ზევით ადის!

რა არის ეს, სასწაული? ბუნების ფენომენი? თეორეტიკოსი ფიზიკოსის ვასილი ბუკრეევის თქმით, არც ერთია, არც მეორე, თურმე ამ მოვლენას, რომლის შესახებ ჩვენი წინაპრებისთვის კარგად იყო ცნობილი, კერძოდ, რომაელები თავიანთ აკვედუკებში წარმატებით იყენებდნენ.

ბეშჩალაკის ტბაზე სიმაღლეთა შორის განსხვავება სამი მეტრია, ღელეში წყალი კი ერთმანეთს მიყოლილ ზვირთებით ტბიდან აღმართში მიედინება. მეცნიერი ამ მოვლენას ასე ხსნის:

— ტბაში წყალი მყინვარიდან ჩაედინება, რა დროსაც ძალთა მომენტი წარმოიქმნება, რომელიც წყლის ბრუნვას იწვევს, — ამბობს ფიზიკოსი. — ამ დროს ფერდობზე ეგრეთ წოდებული ტეილორის გრიგალების წყლის ბორბლები წარმოიქმნება. მარტივი ენით რომ ვთქვათ, ესაა გვერდულად მოგორავე ცილინდრები, რომლებიც ჰიდროდინამიკურ წინააღმდეგობას სპობენ. იმის გამო, რომ წინააღმდეგობა არაა, ცილინდრები ენერგიას იკრებენ, რომლის ხარჯზე წყალი აღმართში უპრობლემოდ ადის.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვახელებთან

„როცა კეზერაშვილი დააკავეს, მას დიდი ოდენობით ფული აღმოუჩინეს“

გასულ კვირას ფრანგმა პროკურორმა სასამართლოს მიმართა, რომ არ მოხდეს ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირება. სავარაუდოდ, ამ კვირაში გაირკვევა, გაათავისუფლებენ თუ არა კეზერაშვილს. ყოფილი პოლიტპატიმრის ვახტანგ მაისაიას აზრით, „როცა კეზერაშვილი დააკავეს, მას დიდი ოდენობით ნაღდი ფული აღმოუჩინეს. შემდეგ დაინტერესდნენ მისი ანგარიშებით ოფშორულ კომპანიებში, წილებით. საერთოდ, როცა საქმე დიდ ფულს ეხება, საფრანგეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურებს უჩნდებათ კითხვა, დიდი ოდენობით ფული ტერორიზმთან რამე კავშირს ხომ არ მიანიშნებს, სწორედ ამიტომ აფრინა მიშა საკაშვილმა ფრანგებთან წერილი, რითაც მესიჯი გაგზავნა, ეს კეზერაშვილის კი არა, ჩვენი ფული იყოო... კეზერაშვილს გავლენიანი ძალები ლობირებენ... ფრანგული მხარე იარაღის კონტრაბანდის თაობაზე ჯერჯერობით არ ლაპარაკობს... მამხილებელი მასალები არსებობს... ვნახოთ...

„კვირის პალიტრა“

სად არიცხვინებდა დატერორებულ ბიზნესმენებს ფულს კეზერაშვილი?

საკაშვილის ხელისუფლების მსხვერპლი, სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ქალბატონი ქეთინო აფციაური დუმილს არღვევს და „ქრონიკის“ საშუალებით პროკურატურას მიმართავს, დაინტერესდეს მისი საქმით. ქეთინო აფციაური ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს დავით კეზერაშვილს ამხელს და ბრალს სდებს, რომ მას ბიზნესი წაართვა, შეთითხნილი ბრალდებით უკანონო პატიმრობისთვის გაწირა და თავისუფლების სანაცვლოდ 5 მილიონს სძალავდა.

„ქრონიკა“

უნდა დაისაჯოს თუ არა ძვეშვევრდომი, რომელიც უფროსის ბრძანებით არღვევს კანონს

იურისტების განცხადებით, სამართლებრივად აუცილებლად უნდა დაისაჯოს. უფლებადამცველები აცხადებენ, რომ საკუთარ ქმედებაზე ყველამ უნდა აგოს პასუხი, დამკვეთმა — მეტად და შემსრულებელმა ნაკლებად. თუმცა, შემსრულებელთა ამ „ნაკლებად“ პასუხისმგებლობაშიც ჩნდება კითხვის ნიშნები. მაგალითად, როდესაც რომელიმე მაღალჩინოსანი ხელქვეითს რაიმე დავალებას აძლევს, შეიძლება უკანონოდ, მაგრამ პრემიას ჰპირდება და ის ამ დავალებას ასრულებს, იმიტომ, რომ „პრემია დიდია“. ან ჯილდო არ არის, მაგრამ უსამსახუროდ დარჩენის შიშია, იურისტების რაღაც ნაწილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებლებს დანაშაულის ჩადენა გათვითცნობიერებული ჰქონდათ, მაინც ნაკლები სასჯელის ზომით უნდა დაისაჯონ, ვიდრე დამკვეთი.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რას აკეთებთ? ნიშანი არ დაგინახავთ? ამ ქუჩაზე მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლება მოძრაობა!

— მერე? მე რა, ორი მიმართულებით მივდივარ?

* * *

— რატომ ტირი, მიხო?

— ძალიან სევდიანი წიგნია!

— რა წიგნია?

— ქიმია!!!

* * *

გინდათ დაიკლოთ ერთ კვირაში 14 კილოგრამი? ეს ძალიან იოლია! დაიკელით დღეში ორი კილო.

* * *

— გამოკვლევის შედეგებით, რომელიც მშვენიერი სქესის ორი ათასზე მეტ წარმომადგენელს შორის ჩავატარე, — ეუბნება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დირექტორს ახალგაზრდა კაცი, — შემიძლია დავასკვნა, რომ ქალთა 17 პროცენტს ტრუსები არ აცვია.

— ოო! — წამოიყვირა დირექტორმა. თქვენ, ალბათ, სტატისტიკოსი ხართ, არა?

— არა, ქალთა ფეხსაცმლის მაღაზიის გამყიდველი ვარ!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24